



უსაფრთხოებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვად
FOR PROTECTING SECURITY AND INTELLECTUAL PROPERTY

საქართველოში დამზადებული ხარისხიანი ღვინო
QUALITY WINE PRODUCED IN GEORGIA

ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტთან
INTERVIEW WITH THE PRESIDENT OF GEORGIAN
NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

საშობაო ალილო
CHRISTMAS ALILO

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“

პერიოდული გამოცემა

IP საქართველო

გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2014



PERIODICAL PUBLICATION
OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA “SAKPATENTI”

IP GEORGIA

PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2014



ირაკლი ღვალაძე
საკპატენტის თავმჯდომარე
IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

Dear reader,

It is for the second time as we present the New Year's edition of our magazine. As usual, this edition under different headings includes articles on well-known trademarks, significant inventions, designs, copyright and many other topics of interest to readers. This edition too is noteworthy for its festive mood and articles on intellectual wealth of our country.

The end of a year is always followed by assessment of Sakpatenti's activities of the past year. I am convinced that one of the most important events of 2013 in terms of demonstrating Georgian intellectual property to the world was a Georgian cultural event organized during the 51st series of meetings of the Assemblies of the Member States of the World Intellectual Property Organization (WIPO) in Geneva. The Georgian National Ballet "Sukhishvili" presented an unforgettable performance of folk dances, which was attended by up to 800 delegates from different countries of the world. The same evening we presented Georgian wines of appellations of origin and assortment of Georgian cheeses of geographical indications. The feeling is incomparable when you hear appreciation of hundreds of people excited by your national wealth. Similar events in the field of intellectual property are especially important, as IP awareness raising of the general public is considered a priority for development of this sphere in many countries. In my opinion, this is the right direction in Georgia too, as sharing relevant information with the business sector and right holders encourages more people to protect intellectual property rights, which in its turn advances the culture of protection of rights in this area.

Traditionally, at the end of the year we also sum up the results to reveal last year's most active Georgian companies according to trademark registrations in one or the other field. It should be noted that in 2013 the highest number of trademark applications was filed with Sakpatenti by "Avers-Pharma" LLC. The same company is also the owner of the biggest number of registered trademarks in the class of pharmaceutical products. Last year, the following joint stock companies were active in terms of trademark protection: "Georgian Beer Company" and "Lomisi", as well as limited liability companies: "Prima-Vita", "Iverta", "Silknet", "Football Club Dinamo Tbilisi", "Kakhetian Traditional Winemaking" and others. The fact that the number of local applicants is increasing from year to year is especially overwhelming, which means that every year more and more of our fellow citizens feel the need to protect their intellectual property.

We wish you a successful and happy new year 2014!

ძვირფასო მკითხველო,

უკვე მეორე წელია, წლის ბოლოს, წარმოგიდგენთ ჩვენი ჟურნალის საახალწლო ნომერს. როგორც ყოველთვის, ამ გამოცემაშიც თავმოყრილია რუბრიკები ცნობილი სასაქონლო ნიშნის, მნიშვნელოვანი გამოგონების, დიზაინის, საავტორო უფლებებისა და მკითხველისათვის საინტერესო ბევრი სხვა თემის შესახებ. ეს ნომერიც განსაკუთრებულია თავისი სადღესასწაულო განწყობითა და სპეციალურად მისთვის შექმნილი სტატიებით ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ სიმდიდრეზე.

წლის ბოლოს ყოველთვის თან ახლავს გასული წლის საქპატენტის საქმიანობის შეფასება. ვფიქრობ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში 2013 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჟენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) რიგით 51-ე გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს კულტურული ღონისძიების გამართვა. ღონისძიებაზე დამსწრე სხვადასხვა ქვეყნის 800-მდე დელეგატის წინაშე შთამბეჭდავი წარმოდგენა გამართა ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“. ამავე საღამოზე სადეგუსტაციოდ წარვადგინეთ ადგილწარმოშობის დასახელებების ქართული ღვინოები და გეოგრაფიული აღნიშვნების მქონე ქართული ყველის ასორტიმენტი. შეუდარებელი განცდაა, როცა ისმენ შენი ეროვნული სიმდიდრით აღფრთოვანებული ასეულობით ადამიანის შეფასებებს. მსგავსი ტიპის ღონისძიებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ სფეროში ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არაერთ ქვეყანაში მიჩნეულია პრიორიტეტად დარგის განვითარებისთვის. ვფიქრობ, რომ საქართველოშიც სწორედ ეს მიმართულებაა მართებული, რადგან ინფორმაციის სწორი მიწოდება ბიზნესის სექტორისა და სავარაუდო უფლების მფლობელთათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსურველთა რაოდენობის ზრდის საფუძველია, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს უფლებების დაცვის კულტურას ამ სფეროში.

ტრადიციულად, წლის ბოლოს ვაჯამებთ შედეგებს თუ რომელი ქართული კომპანია იყო ყველაზე აქტიური გასული წლის განმავლობაში ამა თუ იმ სფეროში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზნით, ყველაზე მეტი განაცხადი საქპატენტში წარმოადგინა შპს „ავერსი-ფარმა“. აღნიშნული კომპანია არის, აგრეთვე, ყველაზე მეტი მოქმედი სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფარმაცევტული პროდუქციის კლასში. გასულ წელს, სასაქონლო ნიშნების დაცვის თვალსაზრისით, აქტიურობით გამოირჩეოდნენ სააქციო საზოგადოებები: „ქართული ლუდის კომპანია“ და „ლომისი“, აგრეთვე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: „პრიმა-ვიტა“, „ივერთა“, „სილქნეტი“, „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და სხვები. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი განმცხადებლების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ჩვენი თანამოქალაქე გრძნობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობას.

წარმატებულ და ბედნიერ 2014 წელს გისურვებთ!

ირ. ღვალაძე



მთავარი რედაქტორი

ქეთევან ბოჯგუა

EDITOR-IN-CHIEF

Ketevan Bojgua

სარედაქციო კოლეჯია

ირაკლი ღვალაძე, ეკატერინე ეგუტია, ელენე ქემაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი, ანი გობეჩია, ეკატერინე შანიძე, ზვიად მათიაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, გიორგი ქურდიანი

EDITORIAL BOARD

Irakli Ghvaladze, Ekaterine Egutia, Elene Kemashvili – Executive Editor, Ani Gobechia, Ekaterine Shanidze, Zviad Matiashvili, Rezo Tabukashvili, Giorgi Kurdiani

ტექნიკური რედაქტორები

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი

TECHNICAL EDITING

Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

ნომერზე მუშაობდნენ

ქეთევან ბოჯგუა, ლიკა ბერაია, სოფო კვინტრადე

AUTHORS

Ketevan Bojgua, Lika Beraia, Sophie Kvintradze

თარგმანი

ანა მეტრეველი, ნათია ალადაშვილი

TRANSLATION

Ana Metreveli, Natia Aladashvili

კორექტორი

ლალი ჭანტურია

CORRECTOR

Lali Chanturia

ფოტო

ვანო ფიტსხელაური

PHOTO

Vano Pitskhelauri

დიზაინი და დაკაბადონება

თეონა კერესელიძე

DESIGN AND LAYOUT

Teona Kereselidze

პოლიგრაფიული აგუფი

მიხეილ მეჩიტაშვილი, არსენ ლომიძე, ლალი დოლიძე

POLIGRAPHY TEAM

Mikheil Mechitashvili, Arsen Lomidze, Lali Dolidze

სტატიების ავტორებისა და რესპოდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეჯიის აზრს.

The views of authors of articles and respondents do not necessarily reflect the views of the editorial board.



4



12



18



22

უსაფრთხოებისა და ინტელექტუალური
საკუთრების დაცვა
FOR PROTECTING SECURITY AND
INTELLECTUAL PROPERTY

4

საქართველოში დამზადებული
ხარისხიანი ღვინო
QUALITY WINE PRODUCED IN GEORGIA

12

ფეხსაცმლის საიდუმლო
SHOES WITH SECRET

18

ბაიზიარეთ ქართული ბუნების მაღლი
SHARE THE GRACE OF GEORGIAN NATURE

22

ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან
გიორგი კვეციანიანთან

30

INTERVIEW WITH THE PRESIDENT OF THE
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

საშობაო ალილო
CHRISTMAS ALILO

36

გამომონება სტიქიის წინააღმდეგ
INVENTION AGAINST NATURAL DISASTER

40

დაიჯესტი
DIGEST

44



30



36



44

უსაფრთხოებისა და ინტელექტუალური
საკუთრების დასაცავად

FOR PROTECTING SECURITY AND
INTELLECTUAL PROPERTY



ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ მინისტრი

Irakli Gharibashvili
Prime Minister of Georgia

ახალი დროშა, ახალი გერბი, ახალი ავტომანქანები, ახალი ტექნოლოგიები და ახალი მისია – 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო დასრულებული რებრენდინგით ხვდება. პროცესს, რომელიც 2012 წელს დაიწყო, ჰქონდა კონკრეტული მიზნები და უკვე აქვს კონკრეტული შედეგები.

შსს საპატრულო პოლიციის რეფორმებისა და რებრენდინგის პრეზენტაცია

Presentation of reforms and rebranding in patrol police department of the Ministry of Internal Affairs of Georgia

New flag, new emblem, new cars, new technologies and new mission – the Ministry of Internal Affairs welcomes the year 2014 with completed rebranding. The process, which started in 2012, had concrete goals and has already yielded concrete results.

- სისტემის დეპოლიტიზება – შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებების და უსაფრთხოების დაცვა;
- განისაზღვრა სამინისტროს პრინციპები – კანონიერება, ჰუმანურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა;
- ტექნოლოგიური სიახლეები – გაუმჯობესდა საპატრულო პოლიციის შესაძლებლობები, დაინერგა უახლესი ტექნოლოგიები, განახლდა საპატრულო პოლიციის ავტოპარკი. როგორც ავტომობილები, ისე ფორმები აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით;
- უწყების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა – გაიზარდა ანგარიშვალდებულება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- System depoliticization – the Ministry of Internal Affairs has been established as a socially-oriented organization with the major goal to protect citizens' rights and security;
- The key principles of the Ministry were defined – legality, humanity, justice and transparency;
- Technological novelties – the capacities of Patrol Police were improved; modern technologies were introduced; Patrol Police vehicle fleet was renewed; both motor vehicles and uniforms were equipped with modern technologies;
- Ensuring the transparency of the Ministry – accountability and access to public information has increased.



„ბოლო პერიოდში სამინისტროში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, დაინერგა უახლესი ტექნოლოგიები, რაც პოლიციის მუშაობას უფრო ოპერატიულს და ხარისხიანს, შესაბამისად, მოქალაქის უსაფრთხოებასაც უფრო დაცულს და გარანტირებულს ხდის. ყველა ამ ნაბიჯის შედეგი კი მოქალაქის მხრიდან პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებაა.“

“SIGNIFICANT REFORMS HAVE BEEN IMPLEMENTED AT THE MINISTRY RECENTLY; MODERN TECHNOLOGIES WERE INTRODUCED THAT MAKE POLICE ACTIVITIES MORE EFFECTIVE. RESPECTIVELY, CITIZENS' SECURITY IS MORE PROTECTED AND GUARANTEED. ALL THESE INITIATIVES HAVE RESULTED IN CITIZENS' INCREASED TRUST IN POLICE.”

ალექსანდრე ჭიკაიძე
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

Aleksandre Tchikaidze
Minister of Internal Affairs of Georgia

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინსვლა, ქართული პოლიციის რებრენდინგის გზაზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყება ხდება, რომელიც თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ საკუთრებას კანონით გათვალისწინებული წესით დაცვას. საქართვეში უკვე შესულია განაცხადი 20-ზე მეტი ღიზანის რეგისტრაციის შესახებ.

ANOTHER IMPORTANT ACHIEVEMENT ON THE PATH OF GEORGIAN POLICE REBRANDING IS THE PROTECTION OF INTELLECTUAL PROPERTY. THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS BECOMES ONE OF THE FIRST STATE AGENCIES THAT WILL PROTECT THE INTELLECTUAL PROPERTY RELATED TO ITS ACTIVITIES IN ACCORDANCE WITH THE RULE PRESCRIBED BY LAW. SAKPATENTI HAS ALREADY RECEIVED THE APPLICATION FOR REGISTRATION OF OVER 20 INDUSTRIAL DESIGNS.





ახალი დროშის მთავარი ფერი ლურჯია, რომელიც სტაბილურობის, არაამაღლეველობისა და სანდოობის გამო შეირჩა. ის ძლიერებს პროდუქტიულობას, ასოცირდება მშვიდობასთან, ლოიალურობასთან, დამოუკიდებლობასთან, დიდსულოვნებასა და ძლიერებასთან.


The main color of the new flag is blue, which is the symbol of stability, reliability and trust. It enhances productivity and is associated with peace, loyalty and independence, generosity and strength.

- სამინისტროს გერბი და დროშა;
- საპატრულო პოლიციის ფორმები, ემბლემები, სამკლავურები და წოდების აღმნიშვნელი სამხრეები;
- გენერალური ინსპექციის ფორმები;
- ექსპერტ-კრიმინალისტების ფორმები;
- სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ფორმები და ემბლემები;
- უბნის ინსპექტორების ფორმები, წოდების აღმნიშვნელი სამხრეები, ემბლემა, ჟეტონი;
- 112-ისა და დაცვის პოლიციის დროშა, ლოგო, ფორმები;
- პოლიციის აკადემიის მსმენელთა ფორმა;
- მომსახურების სააგენტოს ფორმები, ლოგო და ემბლემა.

- The Ministry's emblem and flag;
- Patrol police uniforms, emblems, armbands and shoulder straps;
- Uniforms of the General Inspection;
- Uniforms of forensic experts;
- Uniforms and emblems of the Center for Special and Emergency Measures;
- Uniforms of district inspectors, rank insignia, emblem, badge;
- Flag, logo, uniforms of 112 Emergency and Operative Response Center and Security Police;
- Uniforms for the students of Police Academy;
- Uniforms, logo and emblem of Service Agency.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გერბი სახელმწიფო გერბს ეფუძნება. მის მთავარ კონცეფციას წარმოადგენს ჰერალდიკური ფარი, რომელზეც მენამულ ველზე ოქროს ლომია გამოსახული. ლომი ძლიერების, სიმამაცის, დიდსულოვნებისა და კეთილშობილების სიმბოლოა.

The emblem of the Ministry of Internal Affairs is based on the emblem of the state. The main concept of the emblem is the heraldic shield with a lion placed on the purple background. Lion is a symbol of strength, courage, forbearance and nobility.




იმ რაოდენობის განაცხადი, რამდენიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის მოთხოვნით, ჯერ საქპატენტში არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ შეუტანია.

No other state agency has submitted as many applications for the registration of intellectual property objects as the Ministry of Internal Affairs.

სამართალდამცველების სამოსი უფრო დახვეწილი, პრაქტიკული და ხარისხიანი გახდა, შეიცვალა ფერი და თანამედროვე სახე მიიღო ღიზინმაც. ყველა უნიფორმის ღიზინი და კონცეფცია შექმნილია და დამზადებულია საქართველოში.

THE DESIGN OF LAW ENFORCEMENT AND POLICE OFFICER'S UNIFORMS HAS BECOME MODERNIZED, MORE SOPHISTICATED AND PRACTICAL. THE COLOR HAS CHANGED AS WELL. THE UNIFORM DESIGN AND THE CONCEPT ARE DEVELOPED AND MANUFACTURED IN GEORGIA.





უნდა აღინიშნოს, რომ იმ რაოდენობის განაცხადი, რამდენიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის მოთხოვნით, ჯერ არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ წარმოუდგენია. ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაცია უმნიშვნელოვანესია ყველასთვის, ვინც ინტელექტუალურ საკუთრებას ქმნის და მით უფრო სახელმწიფო უწყებებისთვის, რადგან ამ კუთხით სახელმწიფო თავად უნდა იყოს მაგალითი საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად განმცხადებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო, რადგან სწორედ პოლიციის შემთხვევაში, მსოფლიოში არსებობს წარმატებული მაგალითები, თუნდაც ნიუ-იორკის პოლიციის სახით, როდესაც პოლიციის რეგისტრირებული ატრიბუტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ხდება უწყების სავიზიტო ბარათი. დარწმუნებული ვარ, რომ ასევე იქნება საქართველოშიც, მით უფრო, რომ ქართული საპატრულო პოლიცია პრაქტიკაში არა მხოლოდ სამართალდამცავი, არამედ, გარკვეულწილად, სერვისისა და მოქალაქეთათვის დახმარების გამწევი სტრუქტურაა. ამასთან, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ საქართველო იქნება რეგიონში ერთ-ერთი პირველი, რომელსაც ეყოლება რეგისტრირებული და დაცული აღჭურვილობის მქონე პოლიცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ახლახან დაასრულა იუსტიციის სახლის გამოსახულებისა და სლოგანის სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციის პროცესი. ერთეული ნიშნები დარეგისტრირებული აქვთ, აგრეთვე, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიას.

ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

It should be noted that no state agency has submitted so many applications for registration of intellectual property objects, as the Ministry of Internal Affairs did. Registration of intellectual property is extremely important for everyone, who creates intellectual property and especially for the state agencies, because the state should serve as an example for the society in this respect. It is also very important that the Ministry of Internal Affairs is an applicant in this case, because there are successful examples throughout the world, for example New York Police Department, when the registered police attributes acquire specific importance and become a symbol of an agency. I am convinced that the same will happen in Georgia, especially when the Georgian Patrol Police is not only a law enforcement agency, but also it renders services and assistance to Georgian citizens. Moreover, it is especially pleasant that Georgia will be one of the first countries in the region, which will have police with registered and protected equipment.

The Ministry of Justice of Georgia has recently completed the process of registration of Public Service Hall's image and slogan as trademarks; the Ministry of Culture of Georgia as well as the Tbilisi Mayor's Office have also registered relevant marks.

Irakli Ghvaladze
Chairman of Sakpatenti



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ინტელექტუალური საკუთრების გარდა, საერთაშორისო სტანდარტს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზითაც იცავს. ამ მხრივ, ყველაზე მეტი ცვლილება საპატრულო პოლიციაშია. იმისთვის, რომ სამართალდამცველებმა მოქალაქეთა დაცვა და მომსახურება უფრო მაღალ დონეზე შეძლონ, ყველა საპატრულო ეკიპაჟს აქვს შემდეგი აღჭურვილობა:

- ახალი მოდელის ავტომანქანები, რომლებიც აღჭურვილია ბორტკომპიუტერთა და ვიდეორეგისტრატორით. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკი განახლდა 304 ახალი მოდელის ავტომანქანით, რომელთა შორისაა: 287 „შკოდა ოქტავია“, 6 „ტოიოტა ჰილუქსი“, 7 „მინი კუპერი“, 4 ელექტრომობილი და 1 საზღვაო კატარა. აღქმადობისა და ვიზუალური გარჩევადობის გაზრდის მიზნით, შეიცვალა ავტომობილების შეფერილობაც;

Besides intellectual property, the Ministry of Internal Affairs meets international standards through introducing modern technologies. In this respect, most changes have been carried out in Patrol Police. To ensure that law enforcers are capable to protect and serve citizens more effectively, each patrol police crew is equipped with:

- New model cars equipped with on-board computers and video registers. The vehicle fleet of the Patrol Police Department was renewed with 304 new model cars, including 287 Škoda Octavia, 6 Toyota Hilux, 7 Mini Cooper, 4 electric cars and 1 sea boat. The color of cars was changed to increase visualization;



- სამხრე ვიდეოკამერები, რომელიც მოქალაქისა და პატრულ-ინსპექტორის ურთიერთობის სამართლიანი შეფასებისთვისა და ორივე მხარის უფლებების ეფექტური დაცვისთვისაა შემოღებული;
- სპეციალური „ბეიჯი“ – საპატრულო პოლიციელის სამოსზე დატანილი ფირფიტა, რომელზეც მითითებულია სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- ახალი ალკოტესტი ბექდვის ფუნქციით, რაც საშუალებას აძლევს პატრულ-ინსპექტორსა და მოქალაქეს ადგილზე გაეცნონ, თუ კონკრეტულად რა ოდენობის ალკოჰოლის შემცველობაა ორგანიზმში;
- სიჩქარის საზომი რადარები, რომლებიც განთავსდა სიჩქარის გადაჭარბებისა და მანევრირების წესების დარღვევის მაღალი რისკის მონაკვეთებში.
- Shoulder mount camcorders, introduced to ensure impartial assessment of relations between a citizen and a patrol inspector and effective protection of the rights of both sides;
- Special badge – a plate attached to a police officer’s uniform indicating his first name, surname and personal number;
- New alcohol test with the function of printing that enables a police officer and a citizen to learn about the amount of alcohol in human body on the spot;
- Radar speedometers placed in the sections with high risk of exceeding speed limits and violating the rules of maneuvering.

დრო, ტექნოლოგიები და ცივილიზაცია წინ მიდის და ვითარდება. ძალიან ბევრი ნოვაცია განვახორციელეთ და შემოვიტანეთ ახალი ტექნოლოგიები ჩვენს სტრუქტურაში, მთავარი მიზანი კი იყო მოქალაქეების უფრო ხარისხიანი მომსახურება და მათი უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოფა. დღეს საპატრულო პოლიციას აქვს ალჭურვილობა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ევროპული ქვეყნების სტანდარტებს.

დავით ცინარიძე
საპატრულო პოლიციის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

TIME, TECHNOLOGIES AND CIVILIZATION ARE MOVING AHEAD AND DEVELOPING. WE HAVE CARRIED OUT LOTS OF NOVELTIES AND INTRODUCED NEW TECHNOLOGIES IN OUR STRUCTURE; THE KEY GOAL WAS TO RENDER BETTER QUALITY SERVICES TO OUR CITIZENS AND TO ENSURE THEIR SECURITY AT A HIGHER LEVEL. TODAY, PATROL POLICE HAS EQUIPMENT, WHICH FULLY MEETS EUROPEAN STANDARDS.

Davit Tsinaridze
Head of the Patrol
Police Department

სასაქონლო ნიშანი – ბრენდი TRADEMARK – BRAND

საქართველოში დაზღადავული ხარისხიანი ღვინო

QUALITY WINE PRODUCED IN GEORGIA

სოფო კვინტრადე
SOPHIE KVINTRADZE



„ასკანელი ძმების“ ისტორია გურიაში, სოფელ ასკანაში, ანტიმოზ ჩხაიძის მარნიდან დაიწყო, სადაც ყველაზე ძველ ქვევრზე ამოტვიფრული „1880 წელი“. სწორედ ამ თარიღიდან იწყება დროის ათვლა. ქართული ღვინისა და ხალხური სიმღერის მოყვარულ ანტიმოზ ჩხაიძეს მალე გაუთქვამს სახელი გურიაში და მის ფარგლებს გარეთაც. მის მიერ დამზადებული ღვინოებიდან ყველაზე მეტად ღვინოები „ჩხავერი“ და „ცოლიკაური“ ფასობდნენ. ორივე სახეობის ღვინო გურიაში იმ დროისათვის გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან – ჩხავერიდან და ცოლიკაურიდან მზადდებოდა.

ისტორიები მეღვინე დიდი ბაბუის შესახებ ჩხაიძეების საგვარეულოში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. გადმოცემის თანახმად, თავისი სახელწოდება სოფელმა ასკანამ ბახუსის შთამომავლის ენეასის ვაჟის – ასკანიუსისგან მიიღო. აქაური მინა საუკეთესო იყო ვენახისათვის. ასკანაში დღემდე შემორჩენილია მარანი, რომელიც ანტიმოზ ჩხაიძემ დააარსა. 15 წლის წინ კი ძმებმა ჩხაიძეებმა ოჯახური საქმის აღორძინება გადაწყვიტეს. სწორედ ასე შეიქმნა ღვინის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი ძმები“, რომელსაც ანტიმოზ ჩხაიძის შთამომავალი სამი ძმა ჩაუდგა სათავეში.

2013 წელი კომპანიისთვის საიუბილეო იყო. ამ წელს მნიშვნელოვანი სიახლეები მოხდა – „ასკანელმა ძმებმა“ კვლავ დაიწყო პროდუქციის შეტანა რუსულ ბაზარზე და პირველად, მრავალი წლის შემდეგ, გაყიდვაში მათი ღვინო „ჩხავერი“ გამოვიდა. ამ უნიკალური ყურძნის ჯიშისგან დამზადებული ღვინო, სამწუხაროდ, დღეისათვის იშვიათია, რადგან ჩხავერის ჯიშის ყურძენი, რომელიც ძველად საკმაოდ გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში, აჭარაში და აფხაზეთში, დღეს თითქმის მთლიანადაა გადაშენებული. ბოლო წლებში მევენახეებმა ჩხავერის ხელახლა დარგვა და ვენახების გაშენება დაიწყეს. ამ პროცესში გულმოდგინედ ჩაერთვნენ ასკანელი ძმებიც, რომელთათვისაც ჩხავერი

The history of Askaneli Brothers began from the cellar of Antimoz Chkhaidze in the village of Askana, Guria Region, where the oldest pitcher is dated 1880. This is considered as a starting time. Antimoz Chkhaidze, who was fond of Georgian wine and folk music, became popular in Guria and beyond its borders quite soon. Out of wines made by him Chkhaveri and Tsoolikauri were most popular. Both wines were produced from the most widespread grape varieties, such as Chkhaveri and Tsoilikauri.

The stories about winemaker grandfather were passed from one generation of the Chkhaidze family to another. According to the legend, the village Askana received its name after Ascanius, the son of Aeneas, who was descendent of Dionysus. The land in Askana was the best for winegrowing. A cellar created by Antimoz Chkhaidze is still preserved in the village. 15 years ago the Askaneli Brothers decided to revive the family business. This is how the wine producing company Askaneli Brothers was founded. The company is led by three brothers, descendants of Antimoz Chkhaidze.

The year 2013 marked an anniversary date for the company. Important developments took place during this period – the Askaneli Brothers restored wine export to Russian market and for the first time after many years, their wine Chkhaveri was put on sale. Unfortunately, wine produced from this unique grape variety is extremely rare, because Chkhaveri wine grape, which was formerly widespread in western Georgia, particularly in Guria, Achara and Abkhazia, has gone extinct. Over the past years wine growers started to plant Chkhaveri grapes again. The Askaneli Brothers, for whom Chkhaveri is equal to continuation of a family tradition launched by their great ancestor as well as rebirth of good Georgian wine, actively joined this process.

დიდი წინაპრის მიერ დაწყებული საოჯახო ტრადიციის გაგრძელების და კარგი ქართული ღვინის ხელახალი დაბადების ტოლფასია.

„ჩხავერი უნიკალური ქართული ჯიშის ყურძენია. მისი მოვლა რთულია, ხოლო მოსავლიანობა – მცირე. საბჭოთა პერიოდში, ღვინის ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის შემდეგ, მისი მოყვანა არამომგებიანი გახდა, რის გამოც საქართველოში ყურძნის ეს ჯიში ნელ-ნელა გადაშენდა. საბედნიეროდ, ახლა ჩხავერის ვენახების ხელახალი გაშენება მიმდინარეობს, რაშიც ჩვენც აქტიურად ვართ ჩართული“, – ამბობს „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი ჯიმი ჩხაიძე.

ამჟამად კომპანიაში „ასკანელი ძმები“ საუკეთესო მეღვინეები მუშაობენ, რომლებიც იყენებენ მეღვინეობის როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ტექნოლოგიებს. ყველა ღვინო ჯიშის, ხარისხისა და წარმოშობის რეგიონის მიხედვით შერჩეული ყურძნისგან მზადდება. კომპანია ფლობს საკუთარ ვენახებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქინძმარაულის ტერიტორიაზე, საბუეში, ჩანთლისყურეში, ჭაბუკიანში, ვაჩნაძეანში და ახაშენში (ფაფრის მინდვრები). გარდა ამისა, კომპანია საქართველოს სხვა რეგიონებში, მაგალითად, რაჭაში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში ყურძენს გლეხებისგან ყიდულობს. ჯიმი ჩხაიძე ამბობს, რომ წლებიდან რთველი გამორჩეული იყო, რადგან ბაზარზე ყურძნის მოთხოვნამ მინოდებას გადააჭარბა. ღვინის მწარმოებელი კომპანიების მხრიდან ყურძენზე

“Chkhaveri is a unique Georgian grape variety. Tending and growing of this grape variety is very difficult, while its productivity is low. During the Soviet period, after transition to factory winemaking, it became unprofitable to grow this grape variety that led to its gradual extinction in Georgia. Luckily, new vineyards are being grown and we are actively involved in this process,” says Jimi Chkhaidze, founder of the Askaneli Brothers.

Presently the company Askaneli Brothers employs the best wine makers, who use both traditional and modern wine making technologies. Each wine is produced of selected grapes that represent certain grape variety, quality and region of origin. The company owns vineyards in various parts of Georgia: Kindzmarauli, Sabue, Chantlisqure, Chabukiani, Vachnadziani and Akhasheni. Moreover, the company purchases grapes from farmers in other Georgian regions, including Racha, Imereti, Guria and Achara. Jimi Chkhaidze says that the vintage in 2013 was remarkable as grape demand exceeded supply. Experts explain such increased demand for grape on the part of wine making companies by reopening of Russian market for Georgian products, including wine.

კომპანია აწარმოებს 32 დასახელების ღვინოს, 12 დასახელების ღვინის ბრენდსა და 4 დასახელების ჭაჭას.

The company produces 32 appellations of wine, 12 appellations of wine brandies, 4 items of chacha (Georgian spirit).





ასეთ მოთხოვნას სპეციალისტები რუსეთის ბაზრის გახსნით ხსნიან.

„ჩვენ დავბრუნდით რუსეთის ბაზარზე, რომელსაც განვიხილავთ, როგორც საინტერესო ბაზარს, თუმცა არსებობს გარკვეული რისკებიც, ამიტომ ჩვენი კომპანიის სტრატეგია ბაზრების დივერსიფიკაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით კვლავ ძალაში რჩება“, – განმარტავს „ასკანელი ძმები“ დამფუძნებელი.

წელს კომპანიამ 3500 ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო გადასამუშავებლად, რაც დაახლოებით 3 მილიონ ბოთლ ღვინოს ნიშნავს. კომპანიის პროდუქციის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე გადის, მხოლოდ 5 პროცენტამდე რჩება ქართულ ბაზარზე. ჯიმი ჩხაიძის განმარტებით, ქართული ბაზარი პატარაა, ამიტომაც კომპანიის განვითარებისთვის ექსპორტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სულ ახლახან კომპანიის ღვინოებმა რეგისტრაცია გაიარეს კანადაში და მალე ქართული ღვინის ექსპორტი ამ ქვეყანაშიც დაიწყება. კიდევ ერთი ახალი ქვეყანა კვიპროსია. ასკანელების ღვინო და ღვინის ბრენდი მსოფლიოს 19 ქვეყანაში იყიდება, მათ შორის, ევროპაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აშშ-ში და ჩინეთში. კომპანია აწარმოებს 32 დასახელების ღვინოს, 12 დასახელების ღვინის ბრენდს, 4 დასახელების ჭაჭას. ღვინოები ჩამოსხმულია უმთავრესად შუმის ბოთლებში, თუმცა არის სასუფენირო თიხის ჭურჭელშიც და „Bag-in-box“-ში. ცოტა ხნის წინ კომპანიამ კონიაკი „XO“ ახალი

ასკანელების ღვინო და ღვინის ბრენდი მსოფლიოს 19 ქვეყანაში იყიდება, მათ შორის, ევროპაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აშშ-სა და ჩინეთში.

Wines and brandies produced by the Askaneli Brothers are sold in 19 countries, including in Europe, post-Soviet countries, U.S. and China.

“We have returned to Russian market, which we consider as an interesting market; however, there are certain risks; therefore, the strategy of our company involving further diversification of markets remains in force”, – the founder of Askaneli Brothers explains.

This year, the company received over 3 500 tons of grapes for processing which is about 3 million bottles of wine. The major part of the company's products is exported; only about 5 per cent is remained on Georgian market. Jimi Chkhaidze explains that Georgian market is small and therefore, export is crucial for the company's development.

Quite recently the wines produced by the company underwent registration in Canada and soon Georgian wine will be exported to this country as well. Another new market is Cyprus. Wines and brandies produced by the Askaneli Brothers are sold in 19 countries, including in Europe, post-Soviet countries, U.S. and China. The company produces 32 appellations of wine, 12 appellations of wine brandies, 4 items of chacha (Georgian spirit). Wines are mostly bottled in glass bottles; however, they are also available in souvenir clay bottles and bag-in-boxes.



Askaneli



ASKANEL
BROTHERS

KAKHETI VALLEY
WHITE MEDIUM SWEET WINE
0.75 L Sugar: 40 g/L Alc. 11.5% vol



2010



შეფუთვით სიგარასთან ერთად შესთავაზა მომხმარებელს.

ალკოჰოლური სასმელის მაღალი ხარისხის დასტურია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე მიღებული მრავალი ჯილდო. სულ ახლახან, აკსანელის 8 წლიანი დაძველების ბრენდმა ლატივიაში საერთაშორისო გამოფენაზე უმაღლესი შეფასება და გრან-პრი დაიმსახურა. ასევე, 2013 წელს უკრაინაში „Best Drink“-ის საერთაშორისო კონკურსზე „ასკანელი ძმების“ სხვადასხვა ღვინომ ხუთ ნომინაციაში პირველი ადგილი მოიპოვა.

ჯიმი ჩხაიძის თქმით, მათი პროდუქცია ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებსა თუ კონკურსებში, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია, რომ უცხოეთში უკეთ გაიციონ ხარისხიანი ქართული ღვინო. უმაღლესი ხარისხის დაცვა კომპანიის მთავარი სტრატეგიაა. სარეკლამო მარკეტინგს ნაკლებად მიმართავენ, თუმცა, ამის მიუხედავად, მათი ბრენდი ცნობადი და პოპულარულია. სამაგიეროდ ხშირად არიან სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მხარდამჭერნი და სპონსორები.

„ჩვენი დამოკიდებულება კომპანიის დაარსების დღიდანვე ასეთი იყო – ჩვენ მოგვწონს, როცა მხარს ვუჭერთ კულტურის განვითარებას, იქნება ეს ახალი სპექტაკლი, საბალეტო წარმოდგენა, თუ კლასიკური მუსიკის კონცერტი. სხვათაშორის, არამარტო საქართველოში, უცხოეთშიც ხშირად ვართ მსგავსი ღონისძიებების მხარდამჭერები“, – ამბობს ჯიმი ჩხაიძე.

ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ კომპანია „ასკანელი ძმები“ პოლონეთში გამართული ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატთა მსოფლიო სამიტის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო. მაღალი რანგის სტუმრებმა, რომელთა შორის დალაი ლამაც იყო, ვარშავაში სამიტის მიმდინარეობის პარალელურად ქართული ღვინოც დააგემოვნეს.

ამჟამად „ასკანელი ძმების“ პროდუქცია თბილისში, ლილოს დასახლებაში მდებარე ქარხანაში ინარმოება,

კომპანია „ასკანელი ძმები“ 5 რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელია. მათ სახელზე საქპატენტში პირველი ნიშანი 2004 წელს დარეგისტრირდა.

The company Askaneli Brothers is the owner of five registered trademarks. The first trademark was registered in the name of the company at Sakpatenti in 2004.

Recently, the company offered its clients a wine brandy XO in a new packaging, together with a cigar.

A lot of awards granted at various international exhibitions and wine tastings proves high quality of alcoholic beverages produced by the company. Just recently eight-year-old brandy produced by the Askaneli Brothers was awarded Grand Prix and received highest evaluation at the international exhibition in Latvia. Moreover, during the international competition Best Drink in 2013 various wines produced by the Askaneli Brothers became winners in five nominations.

Jimi Chkhaidze says that they frequently participate in various international exhibitions and competitions, because it is important to popularize quality Georgian wine abroad. It is the company's key strategy to maintain high quality of its products. Although advertising policy is not pursued extensively, the brand is still quite popular. The company often acts as a supporter and sponsor of various cultural events.

“We have had similar attitude since the day of the company's foundation – we eagerly support cultural activities, such as new plays, ballet shows or classical music concerts. By the way, we often support similar events not only in Georgia but also abroad”, – Jimi Chkhaidze says.

This is clearly confirmed by the fact that the company Askaneli Brothers was one of the sponsors of the World Summit of Nobel Peace Laureates held in Poland. Honorary guests, His Holiness Dalai Lama among them, tasted Georgian wine on the sidelines of the Warsaw Summit.

რომელიც ღვინის და ბრენდის მწარმოებელი უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი. სამარკო ღვინოები მუხის კასრებში ინახება. აქ მიმდინარეობს წარმოების პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი (მთელი ციკლი ყურძნის მიღებიდან ჩამოსხმამდე) და ალკოჰოლური სასმელის სიცივით დამუშავება.

აღნიშნული ქარხნის მახლობლად ასკანელი ძმები მეორე თანამედროვე ტიპის ქარხანასაც აშენებენ, რომელიც იტალიური ტექნიკა-დანადგარებით იქნება აღჭურვილი. გაორმაგებული სიმძლავრის მქონე ქარხნის მშენებლობა ISO-ს სტანდარტებით მიმდინარეობს და 6 თვეში დასრულდება. „ასკანელი ძმები“ 5 რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელია. მათ სახელზე საქპატენტში პირველი ნიშანი ჯერ კიდევ 2004 წელს დარეგისტრირდა.

Presently, the company produces its wine in the factory in Lilo settlement, located in the outskirts of Tbilisi. The factory is equipped with modern wine and brandy producing technologies. Vintage wines are kept in oak barrels. The entire production process (from harvesting grapes to bottling) is subject to strict control.

The Askaneli Brothers are now building another modern factory near the first one, which will be equipped with Italian technologies. Construction of double-capacity factory is underway under ISO standards and will be completed in six months. The company Askaneli Brothers is the owner of five registered trademarks. The first trademark was registered in the name of the company at Sakpatenti as early as 2004.

ალკოჰოლური სასმელის მაღალი ხარისხის დასტურია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენასა და დეგუსტაციაზე მიღებული მრავალი ჯილდო.

A lot of awards granted at various international exhibitions and wine tasting proves high quality of alcoholic beverages produced by the company.



სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქპატენტში.

TRADEMARK

Trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAKPATENTI.

ფეხსაცმლის საიდუმლო

SHOES WITH SECRET

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



დიზაინერმა უნდა გათვალოს არა მხოლოდ კოსტიუმი, მისი სილუეტი, ფერთა გამა და ტენდენციები, არამედ იმ ადამიანის ხასიათიც, ვისთვისაც იგი იქმნება. ტანისამოსი უნდა გამოხატავდეს შეგრძნებებს, ემოციებს და მიწოდოს მნახველს არა მხოლოდ ისე, როგორც დიზაინერმა გათვალა, არამედ მას უნდა ემატებოდეს მომხმარებლის ხასიათი და ინტერესები – ასე ფიქრობს ახალგაზრდა დიზაინერი სალომე გომელაური, რომელიც უკვე არაერთი პერსონალური გამოფენის ავტორია. დიზაინერი, სამოსის პარალელურად, ქმნის აქსესუარებს და ფეხსაცმელს, რომელიც წარმატებით იყიდება საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. დიზაინერის მიზანია მისი კოლექციები იყოს იდეებით, მოსაზრებებითა და შინაგანი ემოციებით დატვირთული, ამიტომ აირჩია თემა „გეიშა“ ანუ არა მხოლოდ გარეგნული მშრალი ეფექტები, არამედ სიღრმისეული სილამაზე, ინტელექტუალიზმი, მოხერხებულობა, გამჭრიახობა. გამოგონების იდეაც ამ დროს გაჩნდა და შეიქმნა უჯრიანი ფეხსაცმელი.

„კოლექციას როდესაც ვაკეთებდი, ავირჩიე იაპონური თემა. მათ ხომ აქვთ პატარა დეტალები და რაღაც საიდუმლოებებით სავსე ცხოვრება და ნივთები. იდეაც აქედან წამოვიდა. საერთოდ, ძალიან მიყვარს ძველი ნივთები და როდესაც ვნახე სუნელების ძველებური ჩასაყრელი, რომელსაც აქვს უჯრებიანი სათავსო, მე მომივიდა იდეა ფეხსაცმელზე გამეკეთებინა ასეთი დეტალი – პატარა უჯრა. ვიფიქრე, რომ ქუსლიანი, ეგრეთ წოდებული პლატფორმიანი ფეხსაცმლის შიგნით მოთავსდებოდა უჯრა, რომელიც გამოიყენებოდა სათავსოდ, პატარა ბეჭდის ან ნივთის ჩასადებად. ჩემს ამ გამოგონებას მრავალფეროვანი ფუნქცია არ აქვს, უბრალოდ არის უჯრიანი ფეხსაცმელი“, – განმარტავს ახალგაზრდა დიზაინერი.

A designer should foresee not only a costume, its silhouette, color gamut and trends, but also the character of the person for whom it is created. The clothes should reflect the feelings, emotions and should be offered to viewers not only in a designer's own way, but additionally the character and the interests of end-users must be taken into account. This is the way a young designer Salome Gomelaury thinks, who is already the author of numerous personal exhibitions. Along with clothes, the designer creates accessories and shoes that are successfully sold in Georgia and abroad. The objective of the designer is to have her collections loaded with opinions and inner emotions, that is why, she chose the theme “Geisha”, i.e. not only the outward dry effects, but also inner beauty, intellectualism, quick wit, ingenuity. The idea for the invention came up at that time and footwear with a drawer was created.

“When I was preparing the collection, I chose the theme of Japan. They have small details and life and things full of some secrets. The idea came from here. Generally I love old things, and once when I saw an old case for spices having a compartment with drawers, it occurred to me to add such a detail to shoes – a small drawer. I thought that inside high-heeled shoes, the so-called platform shoes a drawer can be placed, which can be used as a container for a small ring or item. My invention does not have a very varied function, it is just footwear with a drawer,” – young designer explains.

5 items of “footwear with a drawer” were made, some of which have already been sold. The shoes are made of leather, with the so-called platform wooden heels, the drawer is also made of wood, while silver and cloisonné enamel are used for decoration.

„უჯრიანი ფეხსაცმელი“ სულ 5 ცალი შექმნა და რამდენიმე უკვე გაიყიდა. ფეხსაცმელი არის ტყავის, ეგრეთ წოდებული პლატფორმის ხის ქუსლით, უჯრაც ხის არის, ფეხსაცმლის მოსართავად გამოყენებულია ვერცხლი და ტიხრული მინანქარი.

„კოლექციის სახელწოდებად „გეიშა“ ავირჩიე, რადგან საუკეთესო გზაა გამოხატო მიზანდასახული ემოციები და გადაიტანო ნამუშევარში, ანუ ერთმანეთს შეუხამო გარეგნული და შინაგანი სილამაზე“, – ამბობს დიზაინერ-გამომგონებელი და განმარტავს, რომ უჯრიანი ფეხსაცმლის შექმნა საკმაოდ რთული პროცესი იყო.

„სხვადასხვა ხელოსანი დამეხმარა ამ იდეის განხორციელებაში. ძალიან რთული შესასრულებელი იყო, იმიტომ რომ ეს ფეხსაცმელი მთლიანად ხისგან არის დამზადებული. უჯრის სახელურიც ჩემი გაკეთებულია, მინანქრისგან დავამზადე ეს დეტალი. ფეხსაცმელი, რომელიც შეიცავს ვერცხლისგან დამზადებულ დეტალებსაც, არის ძვირადღირებული და მიხარია, რომ რამდენიმე უკვე გაიყიდა კიდევ, თუმცა მყიდველის ვინაობას არ დავასახელებ“, – ამბობს სალომე გომელაური. მან ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა დიზაინერების ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა და საკუთარი ქმნილება იქ წარადგინა. დიზაინი კი დაარეგისტრირა საქპატენტში და მშვიდადაა – იცის, რომ მის ამ იდეას ვერავინ მიისაკუთრებს.

“I chose “Geisha” as the title of the collection, because it is the best way to express one’s purposeful emotions and render them into work. In other words, to match outward and inner beauty”, – the designer-inventor says and explains that creation of footwear with a drawer was a quite difficult process.

“Various craftsmen helped me in the implementation of this idea. Its execution was very difficult, because these shoes are made entirely of wood. The drawer handle is also made by me, I made this detail from enamel. The footwear which also contains silver details, is expensive and I am glad that some have already been sold, but I will not reveal the identity of the buyer”, – Salome Gomelauri says. She has recently participated in a fashion show for young designers where she has presented her creation. She has registered the design at Sakpatenti and feels safe for it, knowing that no one can misappropriate her idea.

“I know that this is my idea, in order to protect it I have registered it. I do not plan to produce footwear with a drawer in large quantities, but ordering is possible. I have registered my design and feel safe, I know that others cannot implement this idea. The buyer is also satisfied because she knows that such shoes belong only to her”.

The designer began to work on footwear with a drawer 2 years ago. She worked on the idea for 3 or

შემოდგომა-ზამთარი, 2013

Autumn-Winter, 2013





„ვიცი, რომ ეს არის ჩემი იდეა, დაცული რომ ყოფილიყო, ამიტომ დავარეგისტრირე. უჯრიანი ფეხსაცმლის წარმოებას დიდი რაოდენობით არ ვგეგმავ, თუმცა შეკვეთა შესაძლებელია. დიზაინი დავარეგისტრირე და თავს დაცულად ვგრძნობ, ვიცი, რომ სხვა ვერ განახორციელებს ამ იდეას. მყიდველიც კმაყოფილია, რადგან იცის, რომ ასეთი ფეხსაცმელი მხოლოდ მას აქვს.“

უჯრიანი ფეხსაცმლის შესაქმნელად მუშაობა 2 წლის წინ დაიწყო. იდეაზე 3-4 თვე მუშაობდა. მასალად ყოველთვის ნატურალურ ქსოვილებს იყენებს. ამბობს, რომ გეიშას ტიპაჟი თემატურია და საინტერესოდ შეიძლება ამ გამოგონებაში გათამაშდეს. ფაქიზი შტრიხების და დეტალების იდეალურ განლაგებას ნამუშევარი სრულყოფილებამდე მიჰყავს. მიზანი მინიატურებით, პატარა დეტალებით აწყობილი სიმბოლური და გამომწვევი შტრიხების მთლიანობად, ერთ შთაბეჭდილებად და ემოციად ქცევაა. რაც შეეხება გამოყენებულ მასალას: ხე – მისი ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებს, მისი მოხიბვლა არც ისე იოლია; ტიხრული მინანქარი – მისი დახვეწილი მანერები, გემოვნება, შრომისმოყვარეობა, ქალური შტრიხები, პატარა დეტალებისადმი სიყვარული, გახსნილი ხასიათი და კომუნიკაბელურობა; მეტალი – იგი საიმედოა, სანდოა. ქალი, რომელსაც შეგიძლია გაანდო საიდუმლო, გარანტია ერთგულებისა. სტილი კი – კლასიკური, დახვეწილი, საკმაოდ თამამი, სექსუალური, რაც გეიშას ხასიათს უსვამს ხაზს.



ფეხსაცმელი, რომელიც მთლიანად ხისგანაა დამზადებული, შეიცავს ვერცხლისა და მინანქრის დეტალებს. Shoes are made entirely of wood, with details from silver and enamel.

4 months. She always uses natural fabrics as material. She says that Geisha character is thematic and may be reflected interestingly in this invention. The ideal arrangement of subtle features and details leads to the perfection of the work. The aim is to transform symbolic and defiant features made of miniature, small details, into a whole – a single impression and emotion. As for the material: wood demonstrates the strength of a character, it is not so easy to enchant her; cloisonné enamel – her refined manners, taste, diligence, feminine features, love for small details, open-hearted character and sociability; Metal – she is reliable, trustworthy. She is a woman one can confide in, the guarantee of loyalty. The style is classic, elegant, quite bold, sexy, which underlines the Geisha nature.

“Footwear with a drawer as such has not been created until now. This is my idea and I wanted it to be different, not overloaded, but simple and easy. This is not a compartment in footwear, but just a drawer where one can secretly keep a little detail. Everyone who sees this footwear laughs, it causes positive emotion. This is entertaining, exciting, just fun. It is not just merely a footwear, but to a greater extent it has the function of an object”, – the designer explains. Salome Gomelauri has already graduated from the

„როგორც ასეთი, უჯრიანი ფეხსაცმელი დღემდე არ შეუქმნია არავის. ეს ჩემი იდეა არის და მინდოდა, რომ ყოფილიყო განსხვავებული, არა დატვირთული, არამედ უბრალო და მარტივი. ეს არის არა სათავსო ფეხსაცმელი, არამედ უბრალოდ უჯრა, სადაც საიდუმლოდ რაღაც პატარა დეტალი შეიძლება შეინახო. ვინც ნახულობს ამ ფეხსაცმელს, ყველას ეცინება, ის დადებით ემოციას იწვევს. ეს არის გასართობი, საინტერესო, უბრალოდ სახალისო. ეს არ არის უბრალოდ ფეხსაცმელი, არამედ მას უფრო ნივთის ფუნქცია აქვს“, – განმარტავს დიზაინერი.

სალომე გომელაურმა სამხატვრო აკადემია უკვე დაამთავრა, ბავშვობიდან ხატავს, დიზაინერობა კი ყოველთვის მისი ოცნება იყო. ტიხრულ მინანქარზეც მუშაობს, ქმნის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კოლექციებს, სამკაულებს. ამბობს, რომ კიდევ აქვს ახალი დიზაინერული იდეები, რომლებსაც ჯერ აუცილებლად კანონის შესაბამისად დაიცავს და მხოლოდ ამის შემდეგ გაამხელს.

ორიგინალური დიზაინი საქპატენტში უკვე დარეგისტრირებულია.

Original design is already registered at SAKPATENTI.


Academy of Arts, she has been painting since childhood, and always dreamed to be a designer. She works on enamel too, creates collections of clothes and shoes, jewelry. She notes that she has more new design ideas, which she will first protect according to the law and only then reveal them.

დიზაინი

დიზაინი არის პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტში.

DESIGN

Design is an external face, appearance of the product. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.



გაიზიარეთ ქართული ბუნების გაღიანი SHARE THE GRACE OF GEORGIAN NATURE

სოფო კვინტრადე
SOPHIE KVINTRADZE

მინერალური წყალი „საირმე“ თითქმის საუკუნეზე მეტია ქართველების ერთ-ერთი საყვარელი სასმელია. „საირმის“ პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი თვისებები ყველასთვისაა ცნობილი, რაც მუდმივად განაპირობებს მასზე სტაბილურ მოთხოვნას. მინერალურ წყალ „საირმეს“ კარგად იცნობენ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებშიც.

მინერალური წყალი „საირმე“ ბაღდათის რაიონში საირმის მთების წინვოვან-ფოთლოვანი ტყეების სიღრმეში, მდინარე ნაბლარასწყალის ხეობაში დაიბადა. ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმის მინერალური წყალი მრავალსაუკუნოვან ქანებში ბუნებრივ ფილტრაციას გადის და ზედაპირულ ქანებში გრუნტის წყალთან შეზავებით ფორმირდება დაბალმინერალიზებული წყალი „საირმე“.

გაზირებული მინერალური წყალი, რომელიც ადგილზე არსებულ ქარხანაში ჩამოისხმება, მრავალფეროვანი თვისებებით გამოირჩევა, სწორედ ამ თვისებების და მაღალი ეფექტიანობის გამო, „საირმე“ ძალიან პოპულარული მინერალური წყალია ქართველებში. „საირმე“ სასარგებლოა თირკმელების, საშარდე გზებისა და კუჭ-ნაწლავის ფუნქციების აღსადგენად. მას ხშირად სვამენ პროფილაქტიკური მიზნებისთვისაც.

კომპანია „საირმე მინერალ ვოთერს“ საირმის წყლის ექსკლუზიური მწარმოებელია. ის ერთ-ერთია სამ ქართულ მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიას შორის, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ამჟამად, კომპანია აწარმოებს ორი დასახელების წყალს – „საირმე მინერალური წყალი“ და წყაროს წყალი „საირმის ნაკადული“. 2013 წლის დასაწყისში კომპანიამ, ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით, ახალი სტრატეგია შემუშავა და მისი განხორციელებაც დაიწყო. ამჟამად, „საირმე“ 15-ზე მეტ ქვეყანაში გადის ექსპორტზე. კომპანია ახალი ბაზრების ათვისების პოლიტიკას 2014 წელსაც გააგრძელებს.

„ჩვენი უახლოესი განვითარების გეგმა აქცენტირებულია შიდა ბაზარზე დისტრიბუციის გაძლიერებასა და ექსპორტის კიდევ უფრო გაზრდაზე. 2013 წლიდან საექსპორტო ბაზრების გაფართოება დაიწყო. ძალიან გვიხარია, რომ ამჟამად ჩვენს პროდუქტზე არის დიდი მოთხოვნა უკრაინაში, რუსეთში, ბელორუსში და

Sairme mineral water is one of the most favorite beverages of the Georgians for almost over a century. The prophylactic and curative properties of Sairme are widely known that results in stable demand for this product. Sairme mineral water is very popular in the post-Soviet countries as well.

Sairme mineral water was born deep in the primeval deciduous and coniferous forests of Bagdati district, in the Tsalbaristskali River gorge. Hydrocarbonate calcium-sodium mineral water undergoes natural filtration process in centuries-old rocks and by mixing with groundwater in surface rocks, it forms into Sairme, low-mineralization water.

Aerated mineral water, which is bottled in the plant on the ground, is distinguished by its diverse properties. Just owing to these properties and high efficiency, Sairme is an extremely popular mineral water among the Georgians. Sairme mineral water is quite effective for the treatment of urological and gastroenteric diseases. It is frequently taken for prophylactic purposes.

The company Sairme Mineral Waters is an exclusive producer of Sairme mineral water. It is one of those three Georgian mineral water producing companies, who are successfully operating in Georgia and beyond its borders. Presently, the company produces two products – Sairme Mineral Water and spring water Sairme Springs. In early 2013 the company developed a new strategy aimed at export promotion, and started to implement it. Presently, the company exports its products to over 15 countries. The company plans to continue its policy aimed at gaining access to new markets in 2014 as well.

“Our immediate development plan is focused on strengthening the distribution on local market and increasing exports. We have started to expand export markets in 2013. We are very glad that there is great demand for our product in Ukraine, Russia, Belarus and other CIS countries, as well as in European and Asian countries. On May 24, 2013 Sairme received a registration certificate from the Customs Union that enabled us to bring our products to the Customs Union member states. In 2013 Sairme obtained the highest three star award International Taste & Quality Institute (ITQI) at a prestigious Euro-



ვიირთვით ყოველდღე

გაიზიარეთ ქართული ბუნების მაღლი

დღეს-ს სხვა ქვეყნებში ისევე, როგორც ევროპის და აზიის ქვეყნებში. 2013 წლის 24 მაისს „საირმემ“ მიიღო სარეგისტრაციო სერტიფიკატი საბაჟო კავშირისგან, რითაც მოგვეცა შესაძლებლობა საბაჟო კავშირის ქვეყნებშიც შევიტანოთ პროდუქცია. 2013 წელს „საირმემ“ ევროპის პრესტიჟულ კონკურსზე “European ITQI” პრესტიჟული ჯილდო მიიღო საუკეთესო გემოსთვის. ჩვენ კვლავაც ვაპირებთ მსოფლიოს საუკეთესო კონკურსების მოგებას და ამისთვის მყარი საფუძველიც გვაქვს – ჩვენი უმაღლესი ხარისხის მინერალური და წყაროს წყალი“, – აცხადებს ჩვენთან ინტერვიუში „საირმე მინერალ ვოთერს“-ის დირექტორი იანა მაშკოვა.

ექსპორტის გაზრდის გეგმასთან ერთად ბუნებრივად ისმის კითხვა, რამდენად შეძლებს კომპანია გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას? კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მოთხოვნას სათანადო მიწოდებით დააკმაყოფილებენ, რადგან ბოლო წლებში ქარხნის მოდერნიზაციის და წარმოების გაზრდის ფართომასშტაბიანი პროგრამა განახორციელეს, რამაც წარმოება 4-ჯერ გაზარდა.

სანამ თანამედროვე სტანდარტების წარმოებამდე მივიდოდა, „საირმემ“ მრავალწლიანი საინტერესო ისტორია განვლო.

pean contest. We to win the world leading contests again and we have a solid ground for it – our top quality mineral water and spring water”, – Director of Sairme Mineral Waters Iana Mashkova says.

With the plans to increase exports, naturally a question arises, whether the company is able to meet the increased demand. The company management is sure that they will meet the demand with relevant supply, because over the past years they implemented a large scale program on modernization of the plant that has led to fourfold increased production.

Before achieving the production of modern standards, Sairme has gone through years of interesting history.

The use of Sairme water began in 1893. Mineral water was simply dispensed in the barns, and the water was brought to the lowlands through narrow paths and by horses. The first attempts to carry out scientific research of Sairme waters were made during the Russian Empire. Chemical analysis of mineral water brought from Georgia to Petersburg confirmed its curative properties. Later, Roberts Kuptsis, a famous Latvian scientist, started to research Sairme mineral water; he arrived in Georgia in 1916 by order of the Emperor. Roberts Kuptsis was the first scientist conducting stud-



მინერალური წყლის მოხმარება 1893 წლიდან დაიწყო. თავიდან ის ფარდულებში პრიმიტიულად იხსმებოდა, ხოლო წყალი ბარში საჭაპანო გზებითა და ცხენებით ჩამოჰქონდათ. საირმის წყლების მეცნიერული შესწავლის პირველი მცდელობა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს მოხდა. მაშინ საქართველოდან პეტერბურგში ჩატანილი მინერალური წყლის ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა მისი სამკურნალო თვისებები. მოგვიანებით, საირმის წყლის შესწავლა დაიწყო ცნობილმა ლატვიელმა მეცნიერმა რობერტს კუპცისმა, რომელიც საქართველოში 1916 წელს იმპერატორის განკარგულებით ჩამოვიდა. რობერტს კუპცისი იყო პირველი, ვინც კვლევას იმ დროისათვის უახლესი სამეცნიერო მიღწევების მიხედვით აწარმოებდა და ქართული მინერალური წყლების ქიმიურ შემადგენლობას პოპულარულ ევროპულ წყლებს ადარებდა. მის გამოკვლევებში, რომლებსაც რაოდენობრივი გაანგარიშებაც ახლდა, აღწერილი იყო ის, თუ სამრეწველო ათვისებას რა ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეეძლო. კუპცისი საქართველოს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კურორტს უწოდებდა.

დრო კი იცვლებოდა... საიმპერატორო კარის შემდეგ, კუპცისი ანგარიშებს უკვე საბჭოთა ხელისუფლებას აბარებდა. 30-იან წლებში საირმეს კურორტის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. აშენდა პირველი სანატორიუმები და დაიწყო ინფრასტრუქტურის გამართვა.

1949 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1954 წელს დამთავრდა. გაკეთდა სამანქანო გზაც. 60-იან წლებში, მას შემდეგ რაც ელექტროენერგიაც გაიყვანეს, წარმოების გაზრდაც შესაძლებელი გახდა. ნახევრად ავტომატური წარმოება წელიწადში 1-3.5 მილიონ ბოთლ მინერალურ წყალს უშვებდა. პროდუქცია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში იგზავნებოდა და მილიონობით ადამიანში პოპულარობით სარგებლობდა.

ies in line with the advanced scientific achievements of his time, comparing the chemical composition of Georgian mineral waters to those of European analogs. His studies were accompanied by quantitative calculations as well, with descriptions of what economic effect the industrial development of mineral waters could have. Roberts Kuptsis called Georgia the most important resort in the world.

Time was changing... After the Russian Empire, Kuptsis was reporting to the Soviet authorities. In the thirties, Sairme was officially granted a status of a resort. The first sanatoriums were built and infrastructure developed.

In 1949 the Soviet authorities started to build a plant and completed the construction in 1954. The motorway was also built. After a power supply system was built in the sixties, it became possible to increase the production capacity. This semi-automatic production system made 1-3.5 million bottles of mineral water per year. The products were delivered to the vast market, covering nearly all the Soviet countries and winning the approval of millions of satisfied consumers.

After the collapse of the Soviet Union, the plant stopped functioning. Sairme started its new life from 1998, when the plant was privatized and the process of its modernization was launched. As a result, the interior and exterior of the existing buildings and structures were completely renovated. A production line was completely modernized in 2009; the mineral water bottling equipment was replaced by a modern Italian line, which is fully computerized.

In addition, the plant was equipped with German laboratory, which permanently examines water quality. After its complete rebranding carried out in 2009, the company expanded its assortment and started to gain access to export markets.

სოციალისტური სისტემის ნგრევას ქარხნის გაჩერება მოჰყვა. „საირმის“ ახალი სიცოცხლე 1998 წლიდან იწყება, როდესაც ქარხნის პრივატიზაცია მოხდა და მისი მოდერნიზაციის პროცესი დაიწყო. მთლიანად განახლდა ქარხნის ინტერიერი და ექსტერიერი. 2009 წელს კი მოხდა ტექნიკური საწარმოო ხაზის სრული განახლება, მინერალური წყლის ბოთლებში ჩამოსასხმელი საწარმო თანამედროვე იტალიური მექანიკური სისტემით შეიცვალა, რომელიც მთლიანად კომპიუტერიზებულია. გარდა ამისა, საწარმო ალიჭურვა გერმანული ლაბორატორიით, სადაც მუდმივად ხორციელდება წყლის ხარისხის შემოწმება. 2009 წელს განხორციელებული სრული რეზერენდინგის შემდეგ, კომპანიამ პროდუქციის ასორტიმენტი გააფართოვა და საექსპორტო ბაზრების ათვისებაც დაიწყო.

„როდესაც რომელიმე ახალ ქვეყანაში შევდივართ, კომუნიკაციას ყოველთვის ვიწყებთ იმით, რომ „საირმე“ საქართველოდანაა. ჩვენ გვინდა, რომ „საირმეს“ იდენტიფიკაცია მოხდეს საქართველოსთან, რომელიც სახელგანთქმულია თავისი მდიდარი ბუნებრივი და წყლის რესურსებით. სხვადასხვა ქვეყანაში მარკეტინგული აქტივობების სხვადასხვა ფორმას მივმართავთ – „აუთდორი“, სატელევიზიო რეკლამა, პრომოკამპანიები და ა.შ.“ – განმარტავს „საირმე მინერალ ვოთერს“-ის დირექტორი იანა მაშკოვა.

საირმეში ჩასულ დამსვენებელს, ქართველი იქნება ის თუ უცხოელი, ადგილობრივები აუცილებლად მოუყვებიან თქმულებას, რომელიც ამ უმშვენიერესი ადგილის

“When we enter any new country, we start communication by saying that Sairme is from Georgia. We want Sairme to be identified with Georgia, which is famous for its rich natural and water resources. We apply various forms of marketing in various countries – outdoor, TV advertisement, promotional campaigns, etc.”, – Director of Sairme Mineral Waters Iana Mashkova explains.

The locals will definitely tell the visitors of Sairme, both Georgians and foreigners, a legend related to the name of this most beautiful place. The first mention of the Sairme waters was found in the sources of 1890s. According to popular folk legends, two brothers – the hunters who were chasing the trail of a wounded deer found Sairme water. Water flowed over the stones red with oxide and all around it was white with salt. Deer often came here for salt and water. For this reason, they called the water Sairme (the origin of the name comes from the Georgian word “Iremi” which in translation means “deer”).

Shepherds also paid attention to this area and found another unusual thing – they noticed that in a place that remained at a distance of about 3 km from the springs of deer, grass was steady green, the snow was never lying, and the earth was already dry in a few minutes after the rain. The mystery of a “magic glade” was unveiled later on when geologists discovered hot mineral water in the land.

The company Sairme Mineral Water called the water extracted from the “magic glade” – a Grace of Georgian



სახელწოდებას უკავშირდება. პირველი ცნობები საირმის წყლების შესახებ მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან გვხვდება. იმერეთში, ერისთავების კუთვნილ ტყეებში ირმების ამოჩემებული ადგილი პირველად მონადირეებმა შენიშნეს. ხალხში გავრცელებული თქმულებით, წყალი დაჭრილი ირმის კვალს ადევნებულმა ძმებმა აღმოაჩინეს. წყარო ჟანგით გადანითლებულ ქვებზე მოედინებოდა, მის გარშემო კი ყველაფერი მარილს გადაეთერებინა. ირმის ჯოგები მარილს და წყალს მორიგეობით ეტანებოდნენ. ამიტომაც იქაურობას საირმე უწოდეს.

ადგილს ყურადღება მწყემსებმაც მიაქციეს და კიდევ ერთი უჩვეულო რამ აღმოაჩინეს – ირმების წყაროდან დაახლოებით 3 კმ-ის მოშორებით, ერთ ადგილას ბალახი მუდამ მწვანე რჩებოდა. თოვლი არ დებდა, მიწა კი წვიმის მოსვლიდან რამდენიმე წუთში შრებოდა. ამ „ჯადოსნური ველის“ საიდუმლოს ფარდა მოგვიანებით ახება, როცა გეოლოგებმა მინის სიღრმეში ცხელი მინერალური წყალი აღმოაჩინეს.

კომპანია „საირმე მინერალ ვოთერს“ წყალს, რომელიც „ჯადოსნურ ველზე“ მოიპოვება „ქართული ბუნების მაღლი“ უწოდა. ასე დაიბადა სლოგანიც – „გაიზიარეთ ქართული ბუნების მაღლი!“

„საირმე“ იმდენად უნიკალური პროდუქტია, რომ ბუნებრივად გებადება სურვილი სხვებსაც გაუზიარო ის. სწორედ ეს არის ჩვენი სლოგანის არსი – რაც საუკეთესო გაქვს, ყოველთვის გინდა, რომ გაუზიარო შენს მეგობრებს, ოჯახის წევრებს, სტუმრებს და ასე შემდეგ. საირმეც საუკეთესოა, ამიტომ გვინდა, რომ ის მსოფლიოს გაუზიაროთ“, – ამბობს იანა მამუკოვა.

მინერალური წყალი „საირმე“ ბუნებრივად ასოცირდება ულამაზეს კურორტ საირმესთან, რომელიც არანაკლებ პოპულარულია ქართველებში. საირმე მცირე კავკასიონის გულში საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის ერთ-ერთია მესხეთის ქედის ცნობილ კურორტებს შორის. საირმე მცირე კავკასიონის ალპური ზონის მოსანახულებლად იდეალურ ბაზად მიიჩნევა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს უკავშირდება. ამ მიდამოებში მრავალი უძველესი ეკლესია-მონასტერია, რაც, ბუნების გამაოგნებელ მშვენიერებასთან ერთად, არაჩვეულებრივ გარემოს ქმნის ტურიზმის განვითარებისათვის. კურორტი მრავალ პექტარზე გადაჭიმული შერეული ტყითაა გარშემორტყმული – ნაძვი, ურთხმელი, ნიფელი, ცაცხვი, ნაბლი, თელა. ასწლოვანი ხეების სიმაღლე 50 მეტრს აჭარბებს, დიამეტრი კი ერთ მეტრზე მეტი აქვს.

საირმე ნოტიო სუბტროპიკულ ოლქს მიეკუთვნება, ჰავა რბილია და ზომიერი – ზამთარი შედარებით თბილი, ზაფხული კი – გრილი. თოვლი შეიძლება ოქტომბერშიც კი მოვიდეს, მაგრამ მალევე დნება. ზოგჯერ ზამთარი სრულიად უთოვლოა. კურორტზე თბილი პერიოდი 5 თვე გრძელდება.

რევოლუციამდე საირმე ერისთავებს ეკუთვნოდა, მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა განძს ფლობდნენ და მით უმეტეს არ იცოდნენ როგორ გამოეყენებინათ ეს სიმდიდრე. როცა გაიგეს გვიან იყო, რადგან ყველაფერი რაც ეკუთვნოდათ წაართვეს და საბჭოთა ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს.

Nature. This is how the slogan Share the Grace of Georgian Nature was born.

“Sairme is such a unique product that it naturally prompts you to share your best product with others. This is the essence of our slogan – you always want to share the best with your friends, family members, guests and so on. Sairme is the best and therefore we want to share it with the world”, – Iana Mashkova says.

Sairme mineral water is naturally associated with the most beautiful resort of Sairme, which is not less popular among the Georgians. Sairme is located in the heart of Lesser Caucasus, western part of Georgia. It is one of the well-known health resorts in Meskheta Ridge. In addition, Sairme is regarded as an ideal launching base for visiting the Alpine zone of Lesser Caucasus, while in the southeast it is connected with the Borjomi-Kharagauli National Park. There are plenty of ancient churches and monasteries, which together with the breathtaking beauty of the pristine nature, create an extraordinary environment for the development of tourism. The resort is surrounded by mixed forests with centenarian trees of over 50 m in height and 1 m in diameter, including spruces, yews, beeches, limes, chestnuts, elms, etc.

Sairme falls within a damp subtropical zone, with mild, moderate climate, relatively warm winters and cool summers. Snow may fall as early as October but melts soon. Sometimes, winters may bring no snow at all. A warm period in the resort continues for 5 months.

Before the October Revolution, Sairme was owned by the Eristavi family, who had neither a notion of what treasure they possessed nor any knowledge of how to use it. When they came to realize what boundless wealth they had, it was too late – all their possessions were confiscated and declared the property of the Soviet people.

At first, rumors about the miraculous curative properties of the place swirled among people but the resort – with no modern amenities or infrastructure – was rather distant from populated areas, thus inaccessible. Nevertheless, holiday-makers, though few in number, still managed to access Sairme on their donkeys.

In the thirties of the 20th century, a two-story wooden building accommodating 300 people was erected next to little wooden houses in Sairme. This was one of the first attempts to develop the resort infrastructure.

However, the resort development pace was rather slow before the World War II. The Soviet government solved this problem through the locals and German prisoners of war and already in 1945 the motorway was built linking the resort to Baghdati regional center.

Wooden houses were gradually demolished to give place to modern sanatoriums and holiday hotels. The number of holiday-makers grew significantly, with the holiday season lasting almost the whole year. As the Soviet Union collapsed towards the end of the eighties of the past century and a civil war broke out in Georgia soon after it regained its independence, a number of important projects were launched. However, the construction of the mother-and-children holiday complexes, tourist resorts and cable road stopped for an indefinite period.

მიირთვით ყოველდღე

გაიზიარეთ ქართული ბუნების მაღლი



www.sairme.ge





თავდაპირველად ხალხში უბრალოდ ხმა გავრცელდა აქაურობის სასწაულმოქმედი სამკურნალო თვისებების შესახებ, თუმცა, კურორტი საკმაოდ მოშორებული გახლდათ დასახლებული ადგილებიდან და იმ დროისთვის სრულიად მოუწყობელი და მიუდგომელი იყო. ვირებითა და ჯვრებით, უგზოობაში თითოთოროლა დამსვენებელი მაინც ახერხებდა საირმეში ასვლას.

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში საირმეში ხის პატარა სახლების გვერდით აიგო ორსართულიანი ხისავე შენობა, რომელიც 300-მდე ადამიანს იტევდა. ეს კურორტის ინფრასტრუქტურის მონყოფის ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო.

თუმცა მეორე მსოფლიო ომამდე კურორტი საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა. საბჭოთა მთავრობამ ეს პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობისა და გერმანელი ტყვეების მეშვეობით გადაწყვიტა და უკვე 1945 წელს კურორტი საავტომობილო გზით დაუკავშირდა ბაღდათის რაიონულ ცენტრს.

თანდათან ხის სახლები სანატორიუმებმა და პანსიონატებმა შეცვალა, დამსვენებლების რაოდენობა საგრძობლად გაიზარდა, სეზონიც უკვე თითქმის მთელი წელიწადი გრძელდებოდა. 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამოუკიდებელ საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი იყო დაწყებული, მაგრამ დედათა და ბავშვთა დასასვენებელი კომპლექსის, ტურბაზისა და საბაგირო გზის მშენებლობა კარგა ხნით შეჩერდა.

თუმცა, მსოფლიოში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, ამ გარემოს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციისა და კურორტის შესაძლებლობების დაუნახავობა შეუძლებელი იყო. ამიტომ, რამდენიმე წლის წინ კურორტის განვითარების ახალი ტალღა დაიწყო. დღეს საირმეში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის სრული რეკონსტრუქცია, გზების რეაბილიტაცია, ტერიტორიის კეთილმოწყობა, კეთდება ხუთვარსკვლავიანი პანსიონატები. სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობის აღდგენა და მშენებლობა ევროპული ხარისხით წარმოებს, კურორტის იერსახე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროექტით იცვლება. 2011 წლის სეზონი საირმის კურორტის ისტორიაში ახალი ათვლის წერტილი იყო.

„ჩვენ, ჩვენი მხრივ, წვლილი შეგვაქვს კურორტ საირმის რეკონსტრუქციაში. წყლის საბადოს მოწყობით კურორტის განვითარებასაც შევუწყვეთ ხელი. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებელთათვის საირმის წყალი მჭიდროდა დაკავშირებული კურორტ საირმესთან. როდესაც ჩვენ უცხოეთში მინერალური წყლის პოპულარიზაციას ვახდენთ, პარალელურად კურორტ საირმის ცნობადობასაც ვზრდით“, – აცხადებს „საირმე მინერალ ვოთერს“-ის დირექტორი იანა მაშკოვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შპს „საირმე მინერალ ვოთერს“ საქპატენტი რეგისტრირებული ნიშნის მფლობელია. ცნობილი გამოსახულება და დასახელება „საირმე“ სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ნაწილებია. აქვე უნდა ითქვას, რომ შპს „საირმე მინერალ ვოთერს“ ფლობს ცნობილი ქართული მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „საირმე“ გამოყენების უფლებას და რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში.

However, considering the current trends in the world, it would be impossible to see the enormous economic and resort potential of the environment. Therefore, a new wave of the resort development started a couple of years ago. Presently, Sairme is witnessing an accelerated development – the infrastructure is being fully reconstructed, roads – rehabilitated, the area – improved and landscaped, 5-star hotels are being built to offer the highest quality of service and comfort. A variety of structures and buildings are being renovated to European standards. The appearance of the resort is being changed according to the design of modern standards. The 2011 season is the new reference point in the history of Sairme Resort.

“We are making our contribution to the reconstruction of Sairme Resort. By developing the deposit this year we have contributed to the resort development. We should also highlight the fact that for consumers Sairme water is closely linked with the resort of Sairme. When we promote mineral water abroad, simultaneously we increase the popularity of Sairme Resort”, – Lana Mashkova says.

It should also be mentioned that Sairme Mineral Waters Ltd owns the mark registered at Sakpatenti. A famous image and name Sairme are components of its trademark. It should also be noted that Sairme Mineral Waters Ltd holds the right to use the name Sairme, the appellation of origin of famous Georgian mineral water, and is recorded in the official state registry.

ადგილწარმოშობის დასახელება

ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

- ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
- ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;
- გ) რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

APPELLATION OF ORIGIN

An appellation of origin is a modern or historical name of a geographical place, region or, in exceptional cases, a name of a country, used to designate the goods:

- a) originating within the given geographical area;
- b) the specific quality and features of which are essentially or exclusively due to a particular geographical environment and human factors;
- c) production, processing and preparation of which take place within the geographical area.

ინტერვიუ INTERVIEW

ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან გიორგი კვესიტაძესთან

INTERVIEW WITH THE PRESIDENT OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES GIORGI KVESITADZE

სოფო კვინტრაძე
SOPHIE KVINTRADZE



IP ბატონო გიორგი, თითქმის 6 თვეა რაც აკადემიის პრეზიდენტი ბრძანდებით, რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე მნიშვნელოვან წამონწყებად?

გულახდილად რომ ვთქვათ, მეცნიერებათა აკადემიამ ამ ბოლო წლებში დაკარგა ის ვრცელი მეცნიერული ხელმძღვანელობა და განვითარება, რაც მას ჰქონდა. აი რაში გამოიხატება ეს: ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგები, არადა თანამედროვე ტექნოლოგიები, სწორედ საბუნებისმეტყველო დარგებს ეყრდნობა. შევქმენი კომისია, რომელიც შეისწავლის ახალ ტექნოლოგიურ წინადადებებს და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევს, მთავრობის წინაშე რეკომენდაციას გაუწევს და შეიძლება ფიქრი ლიცენზიის გაყიდვაზეც. ვცდილობ, რომ საქართველოში არსებული მეცნიერული დონის შესაბამისად შეიქმნას ის ტექნოლოგიები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას გააჯანსაღებს და გააუმჯობესებს. ეს არის ყველაზე ახალი ინიციატივა, თუმცა, რა თქმა უნდა, გვაქვს სხვა პროექტებიც. ზოგჯერ გაცემული ვარ იმდენი კარგი აზრი და იდეა მხვდება, რომლებსაც ყურადღებას არავინ აქცევს. მეტსაც გეტყვით, ჩვენში გაბატონებულია აზრი, რომ თუ რაიმე გვჭირდება საზღვარგარეთიდან ჩამოვიტანთ, ვიყიდით; ამ დროს კი ავიწყდებათ, რომ ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო პროექტებში დამუშავებული აქვთ 150-ზე მეტი ტექნოლოგია, რომლებსაც იყენებენ ამერიკელები და ევროპელები. ჩვენ რატომ არ ვიყენებთ? რატომ ვაკნინებთ? შესანიშნავი ინჟინრები და გამომგონებლები გვყავს. ამიტომ, ჩემი მთავარი ამოცანა ფუნდამენტურ მეცნიერებებთან ერთად გამოყენებითი მეცნიერების დარგების განვითარებაა. რასაკვირველია, ეს არ მოხდება ქართველოლოგიაში, მათემატიკაში, არქეოლოგიაში ან ეკონომიკაში მიმდინარე კვლევების შემცირების ხარჯზე.

IP Mr. Kvesitadze, it's almost six months that you are the President of the Academy of Sciences. What would you consider as your most important initiative?

Frankly speaking, over the past years the Academy of Sciences has lost that broad scientific management and development, which it had previously. In particular, the fields of natural science have appeared in an extremely grave situation, whereas modern technologies increasingly rely on natural sciences. I have set up a commission that will study new technological proposals and submit them to the government if deemed reasonable. It is also possible to think about selling a license. I am trying to ensure the creation of such technologies in line with the scientific level existing in Georgia, which will revitalize and improve the country's economy. This is the latest initiative; however, of course, we have other projects too. Sometimes, I am astonished when I hear so many good ideas and opinions, which are neglected in our country. Moreover, there is an opinion persisting in our country according to which if we need something, we will bring or purchase it from abroad. But they forget that Georgian scientists have developed over 150 technologies in international projects, which are used by Americans and Europeans. Why don't we use them? Why do we downgrade them? We have excellent engineers and inventors. Therefore, our key task is to develop the fields of applied science along with fundamental sciences. Certainly, it will not happen at the expense of reduction of research projects ongoing in Kartvelian studies, mathematics, archaeology or economy.

IP აშშ-ში არის ერთი ადგილი „სილიკონის ველი“, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს უმსხვილესი ტექნოლოგიური კორპორაციები ისევე, როგორც ათასობით მცირე ე.წ. „სტარტაფ“ კომპანიები, რომლებიც სწორედ ახალი ტექნოლოგიური იდეების გენერირებას და დამუშავებას ახდენენ. ფიქრობთ, რომ ასეთი რამ საქართველოსაც წაადგებოდა სამომავლოდ?

დიახ, „სილიკონის ველი“, რომელიც კალიფორნიის შტატში მდებარეობს, მართლაც ახალი ტექნოლოგიების კერაა. მეტსაც გეტყვით, სტენფორდის და კალიფორნიის უნივერსიტეტების ბაზაზე, სადაც პირადად გახლდით მიწვეული სემინარების გასამართად, შექმნილია პატარა, საშუალო და მსხვილი კომპანიების უზარმაზარი კონგლომერატი. ეს კონგლომერატი კალიფორნიის შტატის დიდი შემოსავლის წყაროა, რომელიც, დღეისათვის, ერთ სულ მოსახლეზე რამდენჯერმე აღემატება სხვა შტატებისას. ამერიკა დიდი ქვეყანაა, იქ 4 ნელინად-ნახევარი ვიმუშავე, 60-მდე უნივერსიტეტი და უამრავი კომპანია მოვინახულე, ამერიკაში ბევრი და არანორმალურად დიდი შესაძლებლობებია. ამავე დროს, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ჩვენ სავსებით გვეყოფა ამერიკის 2 ან 3 პროცენტი, ამის პოტენციალი კი ნამდვილად არსებობს. მაგალითად, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი, თელავი – ყველა ამ ქალაქში არსებობს იმის პოტენციალი, რომ ძალიან ორიგინალური ტექნოლოგიები განვითარდეს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: რამდენიმე წლის წინ ერთმა კახელმა კაცმა მომიტანა ვაზის განაშენიანების განსხვავებული სქემა, რომელიც არ მივიჩნიე მაინცდამაინც ორიგინალურად და არ მივაქციე ყურადღება. შემდეგ კი, როდესაც ჩავედი იტალიაში ვნახე ზუსტად ისეთივე

IP There is a place in the United States called Silicon Valley. It is home to many of the world's largest technology corporations as well as thousands of small start-ups, which generate and process new technological ideas. Do you think that similar idea would be beneficial for Georgia in future?

Yes, Silicon Valley, which is located in California, really is home to new technologies. Moreover, a huge conglomerate of small, medium and large companies was created under the Stanford and California Universities, where I had been invited to hold seminars. This conglomerate is a great source of income for the State of California, which nowadays exceeds per capita incomes of other states several-fold. America is a huge country. I worked there during four and a half years. I visited about 60 universities and a lot of companies. The United States opens up many and tremendous opportunities. At the same time, Georgia is a small country; America's two or three percent will be quite enough for us. Our country really has such potential. For example, Tbilisi, Batumi, Kutaisi, Poti, Zugdidi, and Telavi – all these cities have a potential to develop quite original technologies. Let me bring one example: a couple of years ago a Kakhertian farmer brought me a different scheme of vine planting; I did not regard this scheme interesting and neglected it. Later, when I arrived in Italy and saw similar plantation, I guessed that the farmer was correct and I failed to understand it. I am not ashamed to recognize now that his vision proved more progressive.



პლანტაცია, ე.ი. ის ადამიანი სწორი იყო, მე კი ვერ მივხვდი ამას. ახლა არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ მისი ხედვა უფრო პროგრესული აღმოჩნდა.

IP რა არის ქართული მეცნიერების მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე?

საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული. არსებობს დიდი პოტენციალი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია ერთიორად გაიზარდოს. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ჩინეთ-ტრანსციმბირის რკინიგზა ვერ ახერხებს ტვირთების იმ მოცულობის გადაზიდვას, რაც ჩინეთს აქვს. საჭიროა დაახლოებით 7%-ის გადატანა ალტერნატიული გზით. შესაძლებელია ჩინეთიდან თურქმენეთის გავლით, შემდეგ კი კასპიის ზღვით ტვირთების შემოსვლა საქართველოში, შემდეგ კი შავი ზღვის გავლით ტრანზიტი ევროპაში. ზღვით ტრანსპორტირება გაცილებით იაფია, ვიდრე რკინიგზითა და ნებისმიერი სხვა ტრანსპორტით, ამიტომ ამ გზით ევროპაში გასვლა პრაქტიკულად უფრო იაფი დაჯდება. თუ ეს ასე მოხდა და ამის ნიშნები უკვე არის, ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდება. სატრანზიტო გზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 35-40% ცხოვრობს, სწორედ აქ ვაწყდებით პრობლემას, რომელიც მეტად საყურადღებოა. ეს გახლავთ საფრთხე ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიისათვის, კერძოდ, გამონაბოლქვი აირები, რომლებიც დიდი სატრანზიტო მანქანებისგან წარმოიქმნება. ამისგან დასაცავად სპეციალური ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიები საჭირო, რომელთა დამუშავებაშიც მეცნიერებს დიდი როლი ენიჭებათ. ჩვენ მოვამზადებთ ეკოლოგიურ კონცეფციას, რომელსაც შევთავაზებთ ხელისუფლებას.

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო თემა, რომელსაც მეცნიერებათა აკადემია ამუშავებს, აღმოსავლეთ საქართველოში დამლაშებული ნიადაგების გამდიდრებას შეუწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სასოფლო-სამეურნეო მიწების მოსავლიანობას. იმის გამო, რომ ერთ დროს შავი და კასპიის ზღვები გაერთიანებული იყო და ხმელეთის ამონევის შედეგად მოხდა მათი გაყოფა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნიადაგი მლაშეა. მარტივი დიფუზიას განიცდის და მიწის ზედა ფენებში ამოდის, სადაც საჭიროა მიწის სხვადასხვა მეთოდებით დამუშავება. დასავლეთ საქართველოში, რომელიც უხვი ნალექიანობით გამოირჩევა, წვიმა ბუნებრივად ახდენს ნიადაგის დამუშავებას, მაგრამ გადახვალთ თუ არა ხაშურის ტერიტორიაზე, უკვე ჩანს ხრიოკი მდელოები და მთები. ამ ნიადაგების განოციერება შესაძლებელია სპეციალური ბიოტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო მყავიანობის შეცვლით მათი ნაყოფიერების გაზრდა. ჩვენ უკვე გვაქვს დამუშავებული რამდენიმე მიკრობიოტექნოლოგია, რომელსაც ამ მიმართულებით გამოვიყენებთ, მაგრამ არ გვაქვს ქარხანა, სადაც მიკროორგანიზმები გამრავლდება. მიკრობიოლოგიური მრეწველობა საქართველოსთვის ძალიან ხელსაყრელია, რადგან ის არის მცირემოცულობითი, ეკოლოგიურად მეგობრული და მოაქვს დიდი მოგება. სწორედ ამიტომ, მეცნიერებათა აკადემია ეცდება გაუწიოს ავტაცია ამ დარგს საქართველოს მთავრობის წინაშე.

IP What is the key challenge that Georgian science faces at this stage?

Georgia is a transit country situated between the Black and Caspian Seas. There is a huge potential to double the transit function of our country. There are some assumptions that China-Trans-Siberian Railway fails to transport those amounts of freights, which China offers. About 7% of these freights needs to be transported through an alternative route, possibly from China via Turkmenistan, and then to Georgia via the Caspian Sea. Then the freights can be transited to Europe via the Black Sea. Naval transportation is much cheaper than railway or other types of transport; therefore, this route toward Europe will be much cheaper. If this does not happen and some of these signs already exist, commodity turnover will increase significantly. 35-40% of Georgian population lives across the transit route. This is where we face the problem that is extremely important. This is a threat to Georgia's ecology; I mean exhaust gasses emitted from big transit trucks. Special biotechnologies are needed to protect ourselves against such emissions and scientists play a huge role in developing such biotechnologies. We will prepare an ecological concept and submit it to the government.

Another interesting issue which is under elaboration at the Academy of Sciences will promote the enrichment of saline soils in eastern Georgia that, in turn, will increase the productivity of agricultural lands. Since the Black and Caspian Seas were once united, and later they became landlocked, the soil is saline on the entire territory of Georgia. Salt undergoes diffusion and moves to the upper layers of the land surface, where it becomes necessary to cultivate land by various methods. In western Georgia, which is distinguished by abundant precipitation, the rain naturally cultivates the soil, but as soon as you enter the territory of Khashuri, you will see barren lands and mountains. These soils can be fertilized only by using special biotechnologies, while their productivity may increase by changing their acidity. We have already developed several micro-technologies, which will be used in this direction, but we have no plant to reproduce microorganisms. Microbiological industry is very profitable for Georgia, because it has a small volume, is environmentally friendly and brings great profit. Therefore, the Academy of Sciences will try to promote this field before the Government of Georgia.

IP If we look through the period of last 20 years, many things have changed at the Academy of Sciences; its financing has been reduced and the scientists often complain about lack of attention from the government. What can you say about the current situation, are these trends changing today?

Unfortunately, not only the financing has been reduced, but we had no financing at all. Presently, most of the institutes have been seized from the Academy

IP ბოლო 20 წლის პერიოდს თუ გადავხედავთ, ბევრი რამ შეიცვალა მეცნიერებათა აკადემიაში, შემცირდა დაფინანსება და მეცნიერები ხშირად უჩივიან სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების ნაკლებობას. დღეს რა ვითარებაა, იცვლება თუ არა ეს ტენდენციები?

სამწუხაროდ, დაფინანსება კი არ შემცირდა, არამედ საერთოდ არ გვქონდა. ამ დროისათვის მეცნიერებათა აკადემიას ინსტიტუტების უმეტესობა ჩამორთმეული აქვს, ზოგი უნივერსიტეტებს გადასცეს, ზოგი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ერთი ინსტიტუტი თავდაცვის სამინისტროს გადასცეს, სადაც, სხვათა შორის, დაფინანსებაც აქვთ და საქმესაც აკეთებენ ჩვენი მეცნიერები. ვინაიდან დღეს ინსტიტუტები არ არის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში, აკადემია ძალიან ხელმოკლეა და ბევრ რამეზე უარის თქმა უნევს. რასაკვირველია, ჩვენთან არსებობს აკადემიკოსების კორპუსი, რომელიც 110 ადამიანს ითვლის და ისინი ძალიან სერიოზულ საქმეს აკეთებენ. ბევრი პროექტია დაწყებული, რომელიც მალე გამოვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ ხელმოკლედ ვართ, მაინც რაღაცას ვაკეთებთ და იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიმართ გაიზრდება მთავრობის ყურადღება.

of Sciences; some were transferred to the universities; others are functioning independently. One institute was transferred to the Ministry of Defense, where, by the way, they have funds and our scientists are doing their jobs. Since the institutes are not under subordination of the Academy of Sciences, the Academy lacks finances and has to reject many things. Certainly, we have the corps of academicians uniting 110 persons and they are doing a very serious work. A lot of projects have been launched, which will be unveiled soon. Although we have scarce finances, we are still doing something and we hope that the government's attention towards us will increase.

IP Many Georgian scientists are successfully working abroad. How can their potential be used in favor of our country?

As far as I know, 350 successful Georgian scientists are working at foreign universities or companies. This is a huge potential for a small country like Georgia. Of course, it is regretful that they have left their motherland, but we have certain possibilities to train people and implement projects through cooperation with them and with their support. Many youngsters, who undergo



IP ძალიან ბევრი ქართველი მეცნიერი წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთში, როგორ უნდა მოხდეს მათი პოტენციალის ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება?

ჩემი მონაცემებით, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა თუ კომპანიებში მოღვაწეობს 350 წარმატებული ქართველი მეცნიერი. ეს ძალიან დიდი ძალაა ჩვენი-სთანა პატარა ქვეყნისთვის. რასაკვირველია, დასაბნა მათი წასვლა, მაგრამ გვაქვს საშუალებები, რომ მათთან თანამშრომლობითა და მათი დახმარებით მოვაშადალოთ ხალხი, განვახორციელოთ პროექტები. ძალიან ბევრი ახალგაზრდა, რომელიც მოსამზადებლად მიდის უცხოეთში, უკან აღარ ბრუნდება იმიტომ, რომ ამერიკასა და ევროპაში ცხოვრების უკეთესი პირობებია, განსაკუთრებით მეცნიერისათვის. სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერის შემოსავალი მიზერულია. ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ამოცანაა, რაზეც მთავრობამ უნდა იფიქროს და ფიქრობს კიდევ. არის იმის ნიშნები, რომ ზრუნვა კიდევ უფრო მიზანმიმართული გახდება. ადრე ჩვენ ვიყავით დიდი მილიტარიზებული ქვეყნის პატარა ნაწილი, დღეს ჩვენ ვართ პატარა ქვეყნის დამოუკიდებელი სამეცნიერო საზოგადოება. რაც სჭირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გახლავთ ის, რომ მას მსოფლიოს მასშტაბით სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ავტორიტეტი ჰქონდეს, რათა ქვეყნისათვის ბევრი კარგი რამ გააკეთოს.

IP თავისთავად ჩნდება კითხვა, თუ როგორ აპირებთ მეცნიერებაში ახალგაზრდების მოზიდვას?

მე ვასწავლი უნივერსიტეტებში და მაქვს კავშირი ახალგაზრდებთან. რა თქმა უნდა, ინტერესი გაცილებით შემცირებულია, მაგრამ მაინც არიან დაინტერესებული და კვალიფიციური ახალგაზრდები, რაც იმედის მომცემია. ისინი თანამედროვე უნარ-ჩვევებით არიან აღჭურვილნი, რის გარეშეც დღეს მეცნიერებაში მუშაობა უკვე წარმოუდგენელია. თუმცა, როდესაც სტუდენტებთან ვმუშაობ, ვცდილობ მათ რეალური სურათი შევუქმნა იმის თაობაზე თუ რა ელოდებათ. მათ ეს კარგად უნდა იცოდნენ და გააზრებული არჩევანი გააკეთონ. მეცნიერი ადამიანი, გარკვეულწილად, თავისთავში თავგანწირვის ელემენტსაც მოიცავს. არის გარკვეული საკითხები, რაც შეუფოთებას იწვევს. მაგალითად, ძალიან გაადვილდა საქართველოში ხარისხის დაცვა. 40 წლის წინ პროფესორობა საკმაოდ რთულად მისაღწევი იყო, დღეს კი ეს ძალიან ადვილია. არსებობს პლაგიატის მომენტებიც, მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში არის ჯანსაღი ახალგაზრდობაც, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული კვლევების და ახალი ტექნოლოგიების განხორციელება. დღეს ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება სწორედ მეცნიერებაზე დაფუძნებული ორიგინალური ტექნოლოგიები, რომელსაც პრაქტიკული გამოყენება და სარგებელი ექნება.



studies abroad, do not return home because the United States and Europe offer better living conditions, especially to the scientists. Unfortunately, in Georgia a scientist has a miserable income. This is one of the most painful tasks and the government should think about it and it does so. There are certain signs that the support to science will become more target-oriented. Previously, we were a small part of a huge militarized country. Today we are an independent scientific society of a small country. What the Georgian Academy of Sciences needs is to have an authority of a serious scientific-research center worldwide in order to do many good things for the country.

IP The question presents itself, how do you plan to attract young people to science?

I teach at the universities and I have contacts with young people. Certainly, the interest has been reduced significantly, but there still are interested and qualified young people and this is hopeful. They are equipped with modern skills without which today it is already unimaginable to get involved in science. However, when working with students, I try to provide them with a real picture about what is expecting them. They should know about it and make a well thought-out choice. An individual scientist, to a certain extent, involves the element of sacrifice. There are some issues that cause concerns, for example the fact that it became extremely easier to obtain a degree in Georgia. 40 years ago it was very difficult to become a professor; today it is very easy. Moreover, there are some moments of plagiarism, but still, there are healthy young people in Georgia, who can conduct serious research and implement new technologies. What our country needs most of all today is science-based original technologies which will find practical application and prove profitable.

IP მეცნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში?

რა თქმა უნდა, ჩვენ ვემხრობით ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებას. მაგალითად, ამერიკაში ყველა მეცნიერმა იცის, რომ რომელ დანესებულებაშიც უნდა მიიტანოს თავისი ნაშრომი, მას გარანტირებული აქვს კანონიერი უფლებები. ჩვენც ასეთი სისტემისკენ მივდივართ, ეს არ არის რთულად დასახვენი, მთავარია მეცნიერებმა დაიწყონ მუშაობა და ცოტა მეტი ასპარეზი მიეცეთ. არ არის სწორი და მცდარი აზრია, რომ თითქოს-და საქართველოში მეცნიერები აღარ არიან. საქართველოში არიან ძლიერი მეცნიერები, ჩვენს ქვეყანას რომ სჭირდება იმაზე მეტი პოტენციური გვაქვს და ამის არგამოყენება ელემენტარული დანაშაულია.

IP რა არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები?

პირველ რიგში, ეს არის უსახსრობა. ავიღოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – არ არის ხელსაწყოები, არ არის რეაქტივები, ექსპერიმენტული ბაზები. სავსებით ნათელია, რომ ლაბორატორიაში შექმნილი ტექნოლოგიები მრეწველობაში პირდაპირ ვერ გადავა. უნდა არსებობდეს შუალედური რგოლი, რომელიც შეისწავლის, ამას კი, რა თქმა უნდა, თანხები ესაჭიროება. დიდი რწმენით შემოიძლია ვითხრათ, რომ თითოეული დახარჯული ლარი ქვეყანას ათჯერ მეტად დაუბრუნდება. დღეს მსოფლიოს წინაშე უამრავი გამოწვევაა – მოსახლეობა იზრდება, ურბანიზაცია მატულობს, სახნავ-სათესი მიწები კლებულობს, იცვლება კლიმატი; რამ შეიძლება უშველოს კაცობრიობას? – მხოლოდ მეცნიერებამ, მხოლოდ ახალმა ტექნოლოგიებმა.

IP რა გეგმები გაქვთ 2014 წლისთვის?

გვაქვს რამდენიმე საინტერესო ახალი პროექტი. გვინდა შევექმნათ კავკასიელ ხალხთა ისტორია, სადაც საქართველო უნდა გამოჩნდეს ისე, როგორც ეს ისტორიულად იყო წარმოდგენილი. ასევე, მზადდება ქართველი ხალხის გენოფონდი, დნმ-ის ანალიზით ახლა მსოფლიოში ერების კლასიფიკაცია ხდება – საიდან წარმოიშვნენ, როგორ ვითარდებოდნენ, საით წავიდნენ. ამ პროექტში ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას. აგრეთვე, გვაქვს რამდენიმე პროექტი სამრეწველო, აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების შესახებ. ასე რომ, საკმაოდ დატვირთული და საინტერესო წელი გველოდება.

IP It is important for scientific development to ensure the protection of intellectual property. How does the current situation look like in our country in this respect?

Of course, we are in favor of protecting the intellectual property rights. For example, all scientists know in the United States that regardless of where they may take their works, their legal rights will be guaranteed. We are moving towards such system. It is not difficult. The main thing is for the scientists to start working and be provided with more opportunities. It is an incorrect assumption that there are no scientists in Georgia anymore. There are strong scientists in Georgia; we have even more potential than our country needs and it is simply a crime not to use this potential.

IP What are the main hampering factors?

First and foremost, it is lack of finances. Let's bring an example of natural sciences – there are no instruments, no reagents, and no experimental bases. It is absolutely clear that the technologies created in a laboratory cannot be directly used in the industry; there should be an intermediary link which should study, but all these need finances. I can assure you that each spent Lari will be returned tenfold to the country. The world is facing lots of challenges today – the population is increasing, urbanization is growing, agricultural lands are decreasing, climate is changing; what can save the mankind? – Only the science, only new technologies.

IP What are your plans for 2014?

We have several interesting projects. We want to create the history of Caucasian peoples, where Georgia should be portrayed as it was presented historically. In addition, a gene pool of Georgian people is being prepared; presently, DNA analysis is used for classification of nations in the world, particularly how they originated, how they developed, etc. We are involved in this project as well. We also have some projects about industrial, agrarian and engineering technologies. Thus, we have quite a burdensome and interesting year ahead.

საშობაო ალილო
CHRISTMAS ALILO

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



შობა-ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საშობაო განწყობა შეიქმნას. სიმღერები, ფილმები და სატელევიზიო გადაცემები სწორედ ამას ემსახურება. საშობაო განწყობას ქმნის სიმღერები, რომლებიც არ გვბეზრდება და რომელთა მოსმენა ყოველთვის გვსიამოვნებს. საშობაო და საახალწლო ჰიტებს შორის გამორჩეულია ვახტანგ კახიძის „შობის გალობა“. საშობაოდ ამ სიმღერას მღერის ყველა. მას ასრულებენ კონცერტებზე, ტელევიზორიდან და რადიოდან კი მისი ჰანგები ყველა ოჯახში ისმის. კომპოზიტორმა ვახტანგ კახიძემ „შობის გალობა“ 21 წლის წინ შექმნა.

„შობის გალობა“ დაწერილია 1992 წელს კინოფილმისთვის „იანანა“, რომელიც გადაიღო ნანა ჯანელიძემ და მამაჩემთან ერთად მეც ვარ ამ ფილმის კომპოზიტორი. სიმღერის დრამატურგია რეჟისორის მხრიდან იყო ძალიან ზუსტად განსაზღვრული: ქეთოს ოჯახი ხვდება შობას. სიმღერას იწყებს ბავშვი, მას აჰყვება დედა, მერე – მამა და ბაბუა. შემდეგ კი გამოსახულება სცილდება ამ ოჯახის ინტერიერს და გადაიზრდება ძალიან ლამაზ კლიპში“, – ამბობს ვახტანგ კახიძე.

სიმღერის ტექსტი ხალხურია, ვახტანგ კახიძე იხსენებს, რომ ის ფილმის რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ აღმოაჩინა. ფილმში შესულ ვარიანტში მღერიან თამრიკო ჭოხონელიძე, თამუნა ჟვანია და სოფო ნიჟარაძე, რომელიც 6-7 წლისაა. მოგვიანებით კომპოზიტორმა ახალი ვარიანტი შექმნა, რომელსაც მისი შვილები და ეკა მამალაძე ასრულებენ. „რასაკვირველია მიხარია, რომ ამდენი წელი გავიდა და „შობის გალობა“ ძალიან ხშირად სრულდება“, – ამბობს ვახტანგ კახიძე.

„შობის გალობა“ ვახტანგ კახიძის ცნობილი სიმღერაა და არსებობს მისი უამრავი ინტერპრეტირებული ვერსია. კომპოზიტორი იხსენებს, რომ იყო რამდენიმე შემთხვევა,

To create a holiday mood for coming Christmas and New Year everything is being prepared and planned. Songs, movies and TV programs serve exactly this purpose. The Christmas mood is created by songs we are never bored and always enjoy to listen. Of Christmas and New Year hits, *Shobis Galoba* (“Christmas Chant”) by Vakhtang Kakhidze is outstanding. At Christmas everyone sings this song. It is performed at concerts, and from TV and radio its tunes can be heard in every family. Vakhtang Kakhidze composed “Christmas Chant” 21 years ago.

“Christmas Chant” was written in 1992 for the film *Iavnana* (“Lullaby”), which was shot by Nana Janelidze and together with my father I am the composer of the film soundtrack: Keto’s family is celebrating Christmas. The child starts the song, mother sings along, and then father and grandfather join them too. Then the image goes beyond the interior of this family and turns into a very beautiful video clip”, – Vakhtang Kakhidze notes.

The lyrics are folk, Vakhtang Kakhidze recalls that it was discovered by film director Nana Janelidze. In the film version, the song is performed by Tamriko Chokhonieli, Tamuna Zhvania and Sopo Nizharadze, who was about 6-7 years old at that time. Later, the composer created a new version, which was performed by his children and Eka Mamaladze. “Of course I am glad that so many years have passed and “Christmas Chant” is performed very often”, – Vakhtang Kakhidze notes.

“Christmas Chant” is a well-known song and there

როცა ნაწარმოები ძალიან ცუდად შეასრულეს.

„აქ შესრულების აკრძალვაზე არ არის საუბარი. მე კომპოზიტორი ვარ და თუ ვინმეს ჩემი ან მამაჩემის მუსიკის შესრულება უნდა, ყოველთვის ვითხოვ, რომ შემითანხმონ ვერსია, იქნებ არასწორია, იქნებ უკეთესად შეიძლება ამის გაკეთება და ამის შემდეგ – კი ბატონო, შეასრულონ. როდესაც ეს ასე არ ხდება, ძალიან ხშირად ვისმენთ მდარე ხარისხის ვარიანტს, რომელიც არ ემთხვევა იმას, რაც ავტორს აქვს დაწერილი. ეს პრობლემა ბევრი სხვა კომპოზიტორის შემოქმედებასაც ეხება. „რემიქსი“ არ გაძლევს იმის უფლებას, რომ რაც გინდა ის გააკეთო და ამა თუ იმ ნაწარმოებში მთავარი რაც არის, ის აბსოლუტურად დაარღვიო“, – განმარტავს ვახტანგ კახიძე.

სასამართლოში არ უჩივლია, მაგრამ საავტორო უფლებების დაცვა ვახტანგ კახიძისთვის მნიშვნელოვანია. ცნობილ კომპოზიტორს პირადი ურთიერთობის დონეზე პოზიციის გამოხატვა მამამისის, მსოფლიოში სახელგანთქმული დირიჟორის – ჯანსუღ კახიძის ცნობილ ჰიტებთან დაკავშირებითაც მოუხდა რამდენჯერმე და ამბობს, რომ ამან შედეგიც გამოიღო.

„მამაჩემის რამდენიმე სიმღერა იმღერა „შვიდკაცამ“, ასევე, უნივერსიტეტის ანსამბლმა. მე მათ ყოველთვის ვითხოვდი, რომ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ შეეთანხმებინათ ჩემთან ვერსია. მირჩევნია, რომ დრო დაეხარჯო და მიეხმარო, მაგრამ სამაგიეროდ დარჩება სწორი ვარიანტი. მაგალითად,

are its numerous interpreted versions. The composer recalls that there were several instances when the music was performed very poorly.

“We are not talking now about prohibiting performance. I am a composer and if anyone wishes to perform my music or my father’s music, I always require the song version to be agreed with me, maybe it is wrong, maybe it can be done better and after that – they can perform it. When this is not the case, very frequently we hear a law-quality version, which does not coincide with what the author wrote. This problem also applies to the works of many other composers. “Remix” does not allow one to do whatever one wants, and to absolutely distort the essential part of a given work”, – Vakhtang Kakhidze explains.

He did not bring an action, but copyright protection is important for Vakhtang Kakhidze. On numerous occasions the famous composer had to express his position at a level of personal relations with respect to the well-known hits of his father, world-renowned conductor Jansugh Kakhidze and as he notes this proved to be productive.

“Some of my father’s songs were performed by “Shvidkatsa” as well as University Ensemble. In order to avoid errors, I always asked them to agree with me the version in advance. I prefer





რესტორნებში, სადაც მამაჩემის რამდენიმე ჰიტს მღერიან, ვიცნობ იმ მუსიკოსებს, რომლებიც ასრულებენ და მითქვამს, რომ არ არის რაღაც სწორი, ხან ერთი სტროფი აკლია, ხან კი მელოდია ან ჰარმონია არ არის სწორი და შემითავაზებია ამ ხარვეზების გამოსწორება. ისინი ყოველთვის ბოდიშს იხდიან და ამბობენ, რომ ეს ფონოგრამა აქვთ და ვეღარ შეცვლიან. ეს კატასტროფა არ არის, მაგრამ დასანანია, რომ დაკარგულია ის პენი, რაც ამა თუ იმ კომპოზიტორისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ, ყოველთვის ჯობია, რომ მუსიკალური ვერსია პროფესიონალთან ერთად გაკეთდეს და ის ვარიანტი გავრცელდეს, რომელიც სწორია.“

ვახტანგ კახიძე ამბობს, რომ არ არის წინააღმდეგი მისი ან მამის სიმღერები შესრულდეს. „მათი დიდი ნაწილი ხალხმა უკვე კარგა ხანია რაც შეიყვარა და გაითავისა. მისი მუსიკა ხშირად ჟღერს ტელევიზიით, რადიოთი, საკონცერტო დარბაზებში და ა.შ. რატომ უნდა შევზღუდო მათი პოპულარობა? მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ დაცული უნდა იყოს კომპოზიტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების სტრუქტურული ფორმა და მელოდიურ – ჰარმონიული ენა. თუ ისეთი „რემიქსი“ გაკეთდა, რომ სიმღერას ვეღარ იცნობ, რასაკვირველია ამის წინააღმდეგი ვიქნები“, – ამბობს თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 10 წელიწადზე მეტია მისი მუსიკალური გეგმები თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუშაობით და გეგმებითაა განპირობებული. თუმცა, ვახტანგ კახიძე აქტიურად მოღვაწეობს კინოსა და თეატრშიც, მას ეკუთვნის მუსიკა 50-ზე მეტი დრამატული სპექტაკლისთვის და 20 კინოფილმისთვის, არის მრავალი ჯაზური კომპოზიციისა და საესტრადო სიმღერის ავტორიც. მომავალ წელს ცნობილი დირიჟორი, ორკესტრის კონცერტებთან ერთად, ერთ-ერთი ფილმის და, ასევე, სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზეც იმუშავებს. „მე სულ ვმუშაობ როგორც მუსიკოსი“ – ამბობს კომპოზიტორი და ახალ წელს ახალი გეგმებით ხვდება.

to spend time and help them, and the result will be the right version. For example, in restaurants, where a few of my father's hits are sung, I know the musicians who are performing and I told them that something is wrong, sometimes a stanza is missing, sometimes the melody or harmony is not right and I offered to correct these shortcomings. They always apologize and say that they have a sound record and it cannot be changed. This is not a catastrophe, but it is a pity that the charm which is attributed to one or another composer is lost. Therefore, it is always better to prepare the musical version with a professional and to disseminate the correct version.“

Vakhtang Kakhidze says that he does not object if his father's or his songs are performed. "It's been a long time since people loved and accepted most of them. His music is often heard on television, radio, in concert halls, etc. Why should I restrict their popularity? I am just saying that the structural form and melodic-harmonic language of the work created by the composer should be retained. If a "remix" is done so that you cannot recognize the song, of course I will be against it", – notes the Chief Conductor of Tbilisi Symphony Orchestra and Artistic Director of the Jansugh Kakhidze Tbilisi Musical-Cultural Centre. For more than 10 years, his musical plans are defined by the work and agenda of Tbilisi Symphony Orchestra. However, Vakhtang Kakhidze works actively for film industry and theatre as well; he is the author of music for more than 50 drama performances and more than 20 films, numerous jazz compositions and pop songs. Next year, the famous conductor, along with his orchestra concerts, will work on the soundtracks of one film and a theatre play. "I always work as a musician", – says the composer and greets the new year with new plans.


საავტორო უფლება

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტიში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება.

COPYRIGHT

Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is commenced upon their creation. The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proved.

გამოგონება სტიქიის
წინააღმდეგ
INVENTION AGAINST NATURAL
DISASTER



ლიკა ბერაია
LIKA BERAIA

მევენახეობა-მელვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. საქართველო უძველესი ვაზის ქვეყანაა, აქ მევენახეობას 4000-ზე მეტი წლის წინათ მისდევდნენ, რასაც მოწმობს ვაზის ჯიშთა სიმრავლე. ვაზი და ვენახი გაიდებულა საქართველოში, ამიტომ ბუნებრივია ქართველი ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება ვაზის მოვლა-გაშენებისადმი, თუმცა, გლობალური დათბობის პროცესის შედეგად, სულ უფრო გახშირდა ეკოლოგიური კატაკლიზმები. სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ყინვა, სეტყვა, კოკისპირული წვიმა და ძლიერი ქარია. მაგალითად, კახეთში, რომელიც უძველესი მევენახეობა-მელვინეობის რეგიონია საქართველოში, სეტყვისგან გამოწვეული სტიქიური მოვლენები ყოველწლიურად მეორდება და აზიანებს ვენახების 70-80%, რის აღდგენასაც მრავალი წელი სჭირდება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა გურამ თოფურიამ, რომელიც 35 გამოგონების ავტორია, შექმნა სეტყვისგან მცენარეთა დამცავი მოწყობილობა, რომელიც კონკრეტულად ვენახებისთვისაა განკუთვნილი.

„ეს არის სეტყვისაგან დამცავი მოწყობილობა, კერძოდ, ვენახებისთვის. შეიძლება ვენახებთან ერთად ნარგავებიც დაიცვას სეტყვისაგან, წვიმისაგან და უხვთოვლიანობისაგან“, – განმარტავს გამოგონებელი და მოწყობილობის დეტალებს აღწერს.

გამოგონების მოდელი შედგება ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დამორებული საყრდენი ბოძებისგან, რომლებსაც აქვთ დგარები. დგარებზე დასმულია სამკაპები, სამკაპებზე კი დამაგრებულია მილი, რომელშიც შედის შეკუმშული ჰაერი. გარეზინებულ მილზე გადაფარებულია სეტყვისაგან დამცავი ბადე. კარგ ამინდში, როდესაც სეტყვა მოსალოდნელი არ არის, ის დაკეცილ, ჩამოშვებულ მდგომარეობაშია,

Viticulture and wine making are among the most ancient and the most important fields of agriculture in Georgia. The culture of vine is strongly linked to the history of Georgian nation. Georgia is a country of ancient vine where wine-making was pursued more than 4000 years ago, as proven by variety of vine species that exist in Georgia. Vine and vineyard has been idealized in Georgia and naturally, the Georgians pay particular importance to vine cultivation; however, global warming has resulted in frequent ecological cataclysms, frosts, hail, pouring rains and strong winds jeopardizing agriculture. For example, in Kakheti, a region of Georgia where wine-making has been pursued since ancient times, natural disasters such as hail occur every year, destroying 70-80% of vineyards which takes many years to restore. Guram Topuria, academician at the National Academy of Sciences of Georgia and an author of 35 inventions designed a special equipment for protecting vineyards from hail.

“This is an equipment that protects vineyards from hail; in addition to vineyards it can also protect plants from hail, rain and heavy snow”, – he explained describing the equipment in detail.

The model of the invention consists of two support posts placed at an equal distance from one another, each with its own standpipe. Standpipes have tees on them, while tees in their turn are attached with a pipe for compressed air flow. Rubberized pipe is covered in with a net that protects it from hail. It can be folded and pulled down in good weather, when there is no hail, to ensure that sunlight penetrates vineyard as much as possible, allowing fertilizing cars to access the vineyard and cultivate the soil. It is unique in a way that it has great results and is easy to use. It provides reliable protection for vineyards against hail and when not in use, it allows penetration of sunlight into the plants,

რაც უზრუნველყოფს ვენახში მზის სხივების მაქსიმალურ შეღწევას და შესაძლებელს ხდის მზამ-ქიმიკატების მანქანების შესვლას და ვენახის ნიადაგის დამუშავებას. გამოგონება, სწორედ, იმითაა უნიკალური, რომ აქვს მაღალი საექსპლუატაციო მახასიათებლები და მარტივია გამოსაყენებლად. დანადგარი მუშა მდგომარეობაში საიმედოდ იცავს ვენახებს სეტყვისაგან, ხოლო არამუშა მდგომარეობაში უზრუნველყოფს ნარგავებში მზის შეღწევას, ქმნის აერაციის პირობებს და იძლევა ნიადაგის დამუშავების შესაძლებლობას. გამოგონების ავტორი განმარტავს, რომ ამ ყველაფერს დღემდე არსებული მთლიანი გადახურვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს.

„საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში – ესპანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში ვენახები მთლიანადაა გადახურული ბადით, მაგრამ მთლიანი გადახურვის სისტემის უარყოფითი მხარეა ის, რომ ბადე არ ატარებს მზის სხივების 50%-ს და ნაყოფს შაქრიანობა აკლდება. ამიტომ, მე შევქმენი ისეთი მოწყობილობა, რომელიც ამ უარყოფით თვისებებს აღმოფხვრის, რადგან შესაძლებელია მისი გაშლა-დაკეცვა. ის შედგება კომპრესორისაგან, რომელიც მიაწვდის შეკუმშულ ჰაერს გარეზინებულ მილს და მას ასწევს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფი ბადე იცავს ვენახებს დასეტყვისაგან 100%-ით, მაშინ, როცა სეტყვა ვენახების 70-90%-ს მთლიანად ანადგურებს და შემდეგ მრავალი წელი სჭირდება მის აღდგენას“, – ამბობს გურამ თოფურია.


მეცნიერმა საკუთარი გამოგონება საქართველოში უკვე დააპატენტა და ახლა აქტიურად ეძებს ინვესტორს,

provides airing conditions and makes it possible to cultivate soil, unlike other existing systems of complete roofing – explains the author.

“In many countries abroad – Spain, France, Switzerland, Germany, vineyards are completely roofed with a net but the disadvantage of complete roofing is the fact that the net does not allow penetration of 50% of sunlight resulting in less sugar content of grapes. The reason why I created the system was to tackle these disadvantages, as it can be folded and unfolded. It has a compressor that provides compressed air to rubberized pipe, lifting it horizontally, while horizontal net provides 100% protection for vineyards against hail while hail completely destroys 70-90% of vineyards and it takes many years to restore it afterwards”, – says Guram Topuria.

The scientist has already patented his invention in Georgia and is now actively looking for an investor, someone who will help him realize his invention. He has already made budget estimations – installing the system for the area of 1 hectare will cost approximately GEL 15 000.

“I have always been interested in this issue. I created the system for protection against hail and now my children are helping me find an investor. I created the system 30 years ago, when it was impossible to introduce innovations. Now it is possible but difficult as it is costly. I want my



ვინც გამოგონების დანერგვაში დაეხმარება. დათვლილი აქვს ხარჯებიც. სეტყვისგან დამცავი აპარატის 1 ჰექტარზე დამონტაჟება დაახლოებით 15 000 ლარი ჯდება.

„ეს თემა ყოველთვის მაინტერესებდა. შევექმენი სეტყვისგან დამცავი მონყობილობა და ეხლა შვილები მეხმარებიან, რომ მოვძებნოთ ინვესტორი. ეს მონყობილობა შევექმენი 30 წლის წინ, როცა სიახლეების დანერგვის საშუალება არ იყო. ახლა კი საშუალება არის, მაგრამ რთულია, რადგან დიდ ფინანსებს მოითხოვს. მინდა, რომ ჩემი გამოგონება დაინერგოს საქართველოში, სადაც სეტყვა ხშირად აზიანებს მოსავალს“, – ამბობს გამომგონებელი.

გურამ თოფურიას თქმით, მისი გამოგონება სრულიად უსაფრთხოა და მუშაობს მხოლოდ შეკუმშული ჰაერის გამოყენებით. სპეციფიკა ასეთია: სეტყვის მოლოდინის შემთხვევაში, სადისპეტრერო პუნქტიდან წინასწარ გაიცემა მითითება, რომლის მიხედვითაც მონყობილობა სანყისი მდგომარეობიდან გადადის სამუშაო მდგომარეობაში. ამისათვის კი ირთვება კომპრესორი და შეკუმშული ჰაერი წნევის რეგულატორით განსაზღვრული წნევით, პნევმატიკური გამანაწილებლის საშუალებით, მიეწოდება განივ გამანაწილებელ მილსადენს და, ასევე, მასთან დაკავშირებულ ბოლოში დახშულ ცალკეულ მოქნილ მილსადენთა რიგს. იმავდროულად მილები ივსება შეკუმშული ჰაერით, რის გამოც ისინი სანყისი მდგომარეობიდან თანდათანობით გაიშლება, მიიღებს ცილინდრულ ფორმას, ამასთან, აიყოლებს მასზე გადაფარებულ სეტყვისაგან დამცავ ბადეს და დაიკავებს სამუშაო მდგომარეობას. მონყობილობის ასეთი მოქმედების გამო, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, გადაიფარება ვენახების მთელი ფართობი. სეტყვის შეწყვეტის შემდეგ კი მონყობილობა სამუშაო მდგომარეობიდან კვლავ სანყის მდგომარეობაში გადავა. გამოირთვება კომპრესორი და პნევმატიკური გამანაწილებლის საშუალებით შეკუმშული ჰაერი გავა ატმოსფეროში. სანყის მდგომარეობას დაიკავებს ბადეც, რაც უზრუნველყოფს ვენახებზე მზის სხივების სრულად შეღწევას და აგროტექნიკური პროცესების ჩატარების შესაძლებლობას.

გურამ თოფურია მხოლოდ ამ გამოგონების ავტორი როდია. ის 35 გამოგონების ავტორია, ძირითადად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სფეროში. მათ შორის ერთ-ერთია სათბურის, რომელიც პოლიეთილენის ნაცვლად პოლისტიროლითაა გადახურული. პოლისტიროლის დამცავი ფირი კი მშრალი ჰაერითაა შევსებული. მას გააჩნია თბოიზოლაციის მაღალი ეფექტი, ამიტომ მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოში არსებული დაბალი ტემპერატურის შეღწევას სათბურში, რის შედეგადაც მცენარეებს ყინვისგან 80-ჯერ უკეთ იცავს ვიდრე მინა და 120-ჯერ უკეთ ვიდრე ჩვეულებრივი პოლიეთილენის ფირი.

გამომგონებელი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის წარმატება ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზეა დამოკიდებული.

invention to be realized in Georgia where hail often destroys harvest”, – says the inventor.

According to Guram Topuria, his invention is completely safe and operates on compressed air. In anticipation of hail, controller’s office will issue instructions to get the system ready for operation. To this end, they will turn on compressor, pumping compressed air to vertical pipe at a certain pressure level determined by regulator, by means of pneumatic distributor, as well as to a row of individual flexible pipes with closed ends, attached to the system. Pipes will be filled with compressed water, causing them to slowly unfold in the shape of a cylinder, also unfolding the net for protection against hail and thereafter it gets ready for operation. This way, whole vineyard will be roofed in a very short amount of time. After the hail stops, the system will return to its initial position, compressor will be switched off and the air distributed by means of pneumatic distributor will be released in atmosphere. The net will also return to its initial position, allowing sunlight to fully penetrate vineyards as well as to guarantee the performance of agro-technical processes.

This is one of the thirty-five inventions of Guram Topuria, mostly in the field of agricultural mechanization, including a greenhouse system covered by polyester instead of polyethylene, while the polyester film for protection is filled with dry air. It has a high effect of insulation greatly decreasing penetration of outside low temperature into the greenhouse. As a result, protection that it provides for plants against frost is 80 times more effective than that of glass and 120 times more effective than that of ordinary polyethylene film.

Guram Topuria is strongly convinced that success of the field of agriculture depends on new technologies.

პატიენტი

პატენტი არის გამომგონებლისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით სარგებლობა. ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მონოპოლიური უფლების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელიც გაიცემა საქპატენტის მიერ. პატენტი შეიძლება გაიცეს მაქსიმუმ 20 წლის ვადით. პატენტი, როგორც საკუთრებითი უფლების ფორმა შეიძლება გახდეს გაყიდვის ან ლიცენზირების ობიექტი.

PATENT

A patent is a monopoly right granted to an inventor for a certain period of time, defended by the state, based on which a patent holder can prohibit any person to use a patented invention. Granting of monopoly rights to a natural person or legal entity is confirmed by a patent which is issued by SAKPATENTI. A patent may be granted for a maximum of 20 years. A patent as a form of property right, may become an object of sale or licensing.



დაიჯესტი

DIGEST

ქეთევან ბოჯუა
KETEVA BOJGUA

ქართული ფოლკლორი, ღვინო და პროდუქტი ისმო-ს გენერალურ ასამბლეაზე

23 სექტემბერს, ქ. ჟენევაში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო/WIPO) რიგით 51-ე გენერალური ასამბლეა ქართული კულტურული ღონისძიებით გაიხსნა. ისმო-ს მთავარი ოფისის შენობაში გამართული საღამო ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ გახსნეს. მსოფლიოს 800-მდე დელეგატის წინაშე წარსდგა ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“, რომელმაც შთამბეჭდავად წარმოაჩინა ქართული ფოლკლორული ცეკვის ხელოვნება. ღონისძიება ქართული ღვინისა და ყველის პროდუქტების დეგუსტაციით დასრულდა.

ისმო-ს 2013 წლის ასამბლეის ფარგლებში საქპატენტის დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრებიც გამართა. მოლაპარაკება შედგა ისრაელის, ავსტრიისა და თურქეთის საპატენტო უწყებების ოფიციალურ წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ასამბლეის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოსა და ავსტრიის საპატენტო უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

GEORGIAN FOLKLORE, WINE AND PRODUCTS AT WIPO GENERAL ASSEMBLY

The 51st session of the General Assembly of the World Intellectual Property Organization (WIPO) was opened in Geneva, Switzerland on September 23 with a Georgian cultural event. The event organized at the WIPO Head Office was opened by Director General of WIPO Francis Gurry and Minister of Agriculture of Georgia Shalva Pipia. Around 800 delegates from all over the world attended the remarkable concert of Georgian folk dances performed by the Georgian National Ballet “Sukhishvili” followed by the degustation of Georgian wines and cheeses.

On the sidelines of the WIPO Sessions 2013, the Sakpatenti delegation also held bilateral meetings with the official representatives of patent offices from Israel, Austria and Turkey. It is notable that during the General Assembly, a Memorandum of Mutual Cooperation was signed between the patent offices of Georgia and Austria.





2013 წლის 21 მაისიდან, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საკპატენტი“ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ახალ, ელექტრონულ სისტემაზე გადავიდა.

მაქსიმალურად მარტივი პროგრამა საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს, საქპატენტის ოფისში მისვლის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით დაარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშანი და მართოს დოკუმენტები, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები და განახორციელოს სხვა ოპერაციები.

ენ. „ელექტრონული ფაილინგის“ პროექტის მომზადება დაიწყო 2010 წლის ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) პროგრამის დაფინანსებით და განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთი ნამყვანი კომპანიის UGT-ს მიერ. სისტემის ფუნქციების, შესაძლებლობებისა და დიზაინის შემუშავების პროცესში ჩატარდა არაერთი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან.


აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ფაილინგის სისტემა ამუშავდება ეტაპობრივად, რაც გულისხმობს იმას, რომ სხვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების (გამოგონება, დიზაინი, საავტორო უფლება და ა.შ.) რეგისტრაციის საშუალებათა ჩართვა თანმიმდევრულად განხორციელდება. სისტემაში შესასვლელი (სარეგისტრაციო) ბმული (<http://efiling.sakpatenti.ge/>) განთავსებულია საქპატენტის ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე.

FROM MAY 21, 2013 THE NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER SAKPATENTI HAS MOVED TO A NEW ELECTRONIC SYSTEM FOR TRADEMARK REGISTRATION.

Extremely simple and user-friendly software program enables interested parties to register their trademarks online, without visiting the Sakpatenti premises, as well as to handle documents, obtain necessary information, make relevant payments and carry out other operations online.

The development of the “electronic filing” system commenced in late 2010 with the financial support of the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID). The project was implemented by the Georgian company UGT, one of the leading system integrator and provider of solutions in the field of information and communication technology. A number of meetings were held with all stakeholders in the process of developing the software functions, capacities and design.

It should be noted that the electronic filing system will be put into operation gradually meaning that registration of other intellectual property objects (inventions, industrial designs, copyright, etc.) will be carried out gradually. The online registration link (<http://efiling.sakpatenti.ge/>) is accessible through Sakpatenti's official website.



www.sakpatenti.org.ge

დაბეჭდილია საქპატენტის კოლიგრაფიამ
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31
ტელ.: (+995 32) 291-71-82

PRINTED AT SAKPATENTI PUBLISHING HOUSE
ADDRESS: 0179 TBILISI, NINO RAMISHVILI STR. 31
TEL.: (+995 32) 291-71-82

info@sakpatenti.org.ge

2014